პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 სექტემბერი სამშაბათი 1973

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 219 (15736)

## 300 ათასი ტონა ყურძენისათვის!



## გადამწყვეტი დღეები ფერმებში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1972-1973 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადებისათვის გაჩაღებული სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშებით და ფულადი პრემიებით დააჯილდოეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები, ეროვნული ოკრუგები და რაიონები.

დაჯილდოებულთა შორის საქართველოს სს რესპუბლიკიდან არიან გორის, დუშეთის, ლაგოდეხის, წითელწყაროსა და ცხაკაიას რაიონები.

მეცხოველეობის საქმეში ამ უკანასკნელ პერიოდში ცალკეული რაიონების მიღწევები თავისთავად გვახარებს. მაგრამ საერთოდ რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების მხრივ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. სწორედ პარტიის XXIV ყრილობაზე ჩვენი რესპუბლიკა სამართლიანად გააკრიტიკეს სერიოზული ჩამორჩენისათვის მეცხოველეობის დარგში. დღეისათვის ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში კვლავ დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა, დიდია პროდუქციის თვითღირებულება. ამის შედეგად ბევრ რაიონში მეცხოველეობა მკვეთრად ჩამორჩება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. ჯერ კიდევ ბევრია გადაუჭრელი საკითხები, გამოუყენებელი რეზერვები. ახლა ყურადღება სწორედ ამას უნდა მივაპყროთ.

მეცხოველეობის განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა საკვები, ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, ფერმის მექანიზაცია და რასაკვირველია, პირუტყვის მოვლა. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მუშაობის კარგი გამოცდილება აქვთ წითელწყაროს რაიონში, აქ რესპუბლიკაში პირველებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს პირუტყვისათვის უხეში საკვების, მათ შორის თივის დამზადებისა და სენაჟის ჩადების წლიური გეგმა. საკმაო რაოდენობით უხეში საკვები მოიმარაგეს სიღნაღის, თელავის, თიანეთის, საგარეჯოს, გურჯაანის რაიონების მეცხოველეებმა. საკვებზე ზრუნვამ, შრომის რაციონალურმა ორგანიზაციამ, ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების ღონისძიებებმა და პირველ რიგში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამ აამაღლა მეცხოველეთა შრომითი აქტივობა.

შეჯიბრების ფართო გაქანება ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობების კოლექტივებს ეხმარება აამაღლონ პირუტყვის პროდუქტიულობა. ჩვენმა ფერმებმა მიმდინარე წლის ნახევარში სახელმწიფოს მისცეს მნიშვნელოვნად მეტი ხორცი და რძე, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. მათი მუშაობის ეფექტიანობა კვლავ იზრდება.

მაგრამ რედაქციაში მოდის ცნობები, რომ მთელ რიგ რაიონებში მეცხოველეობის განვითარების ტემპი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. საერთოდ რესპუბლიკაში საკვების დამზადების ტემპი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. უხეში საკვების დამზადების გადამწყვეტი დღეებია, ეს სამუშაო კი შესრულდა 71 პროცენტით, აქედან თივის დამზადებისა — 79 პროცენტით, სილოსის ჩადებისა — 21 პროცენტით.

ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელი უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე კონკრეტულად იბრძვის მეცხოველეობის განვითარებისათვის. მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონში (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვ. დურგარიანი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. კაკულია) საკვები ბაზის განმტკიცებისათვის და ფერმების პროდუქტიულობის გადიდებისათვის შემუშავებული ღონისძიებანი როდი აღმოჩნდა ეფექტიანი. ამის შედეგად ბევრგან საზოგადოებრივ მეურნეობებში რეზერვები გამოუყენებელია, ხოლო ნაკისრი ვალდებულებები კეთილ სურვილად დარჩა. ბოგდანოვკელებმა წელს პირუტყვი ნორმალურად რომ გამოაზამთრონ, ამისათვის საჭიროა სულ მცირე 61.296 ტონა მარტო უხეში საკვები, მათ შორის 45.524 ტონა თივა. საკვების დამზადების გადამწყვეტი დღეები თითქმის იწურება, მაგრამ უხეში საკვები დამზადებულია მხოლოდ 33.120 ტონა. მათ შორის თივა — 26.124 ტონა. ჩამორჩენაა სილოსის ჩადების საქმეშიც.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჯუსოევი, საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. ხანაკოევი) ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. სექტემბრის მეორე ნახევარი დაიწყო, გეგმით გათვალისწინებული 64.150 ტონა უხეში საკვებიდან კი ნახევარიც არ არის დამზადებული. უფრო ცუდი მდგომარეობაა თივის დამზადებაში.

რესპუბლიკაში სენაჟის ჩადების წლიური გეგმა 157 პროცენტით შესრულდა. სამხრეთ ოსეთში კი ჯერ კიდევ დაუმზადებელია 500 ტონამდე სენაჟი. ცუდი მდგომარეობაა სილოსის ჩადების საქმეში. წელს რვა თვეში ხორცის წარმოების გეგმა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა 386 ცენტნერით.

მეცხოველეობაში საქმე ცუდად მიდის იქ, სადაც შესუსტდა ყურადღება სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგისადმი. წალკის რაიონში (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ა. სკაჩკოვი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. მელტონიანი) ნორმალურად რომ გამოაზამთრონ პირუტყვი, საჭიროა მოიმარაგონ სულ მცირე 46.115 ტონა უხეში საკვები. ამ დავალების შესრულების ვადები უკვე იწურება, ხოლო დამზადებული აქვთ გეგმის 74 პროცენტი. სილოსი უმნიშვნელო რაოდენობით აქვთ ჩადებული. შარშანდელთან შედარებით წელს რვა თვეში 34 კილოგრამით შეამცირეს თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა.

მეცხოველეობის განვითარებისათვის ბევრი მუშაობა მოუხდება სამტრედიის რაიონს (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ნ. კოხრეიძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მანჯგალაძე). აქ წელს რვა თვეში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით ხორცის წარმოება შეამცირეს 275 ცენტნერით.

როგორც ჩანს, ზოგიერთ რაიონში ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად არ ხორციელდება ორგანიზატორული მუშაობა, ფართოდ არ ინერგება მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება.

ახლა ამოცანა ის არის, რომ პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაისაბჭოს აღმასკომებმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოებმა დარაზმონ სოფლის მშრომელები მეცხოველეობის დარგში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, სათავეში ჩაუდგნენ მათს პოლიტიკურ და შრომით აღმავლობას, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ სახელმწიფოს ხუთწლედის გადამწყვეტ, მესამე წელს მიეყიდოს 85 ათასი ტონა ხორცი, 189 ათასი ტონა რძე, 295 მილიონი ცალი კვერცხი და სხვა პროდუქტები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახულ მეცხოველეობის განვითარების მაღალ მიჯნებს მით უფრო მალე მივაღწევთ, რაც უფრო მეტ საკვებს დავამზადებთ პირუტყვისათვის, რაც უფრო მომზადებული შეხვდება თვითეული საზოგადოებრივი მეურნეობა ზამთარს.

ამის შესახებ სავსებით დროულად გვაფრთხილებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმი.

## მეგობრული ვიზიტით

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით წელს სექტემბერში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში მეგობრული ვიზიტით ჩავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

## ხუთწლედი — ვადამდე!

### გეგმაც, მოგებაც

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად შრომობს კალინინის სახელობის მალაროს კოლექტივი. სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებითა და საწარმოო რეზერვების გამოყენებით კალინინელებმა ჯერ კიდევ 13 აგვისტოსათვის შეასრულეს სასაქონლო მარგანეცის დამზადების რვა თვის დავალება. შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 10 პროცენტით, თვითღირებულების შემცირებით დაზოგილია 66 ათასი მანეთი, პროდუქციის რეალიზაციით მიღებულია 64 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. მალაროს კოლექტივი უშვებს მაღალხარისხოვან პროდუქციას, წელს აქ არ იციან, რა არის რეკლამაცია.

მალაროს ყველა ბრიგადა, ცვლა, უბანი გადაჭარბებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. თავდადებით მუშაობენ გ. ჭუმბურიძის, აკ. ღულუნიშვილის, შ. კაპანაძის საწარმოო უბნების კოლექტივები.

კალინინელები იბრძვიან წლიური დავალების ვადამდე შესრულებისათვის.

### ახალი ვალდებულება

თელავი. საგზაო სამშენებლო მანქანების შემკეთებელი მექანიკური ქარხნის კოლექტივი თვიდან თვემდე აფართოებს სოციალისტურ შეჯიბრებას, იბრძვის მიმდინარე წლის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის. ორგანიზებული შრომის შედეგად აქ პროდუქციის რეალიზაციის რვა თვის გეგმა 105 პროცენტით შეასრულეს, საერთო პროდუქციისა — 108 პროცენტით.

მექანიკოსები მუდამ ახლის ძიებაში არიან. საგზაო სამშენებლო მანქანების შეკეთების პარალელურად აითვისეს საველე გადასატანი საცხოვრებელი სახლების წარმოება, ამ პროდუქციაზე ძალიან დიდი მოთხოვნილებაა. მომხმარებელმა უკვე მიიღო 60 საცხოვრებელი ვაგონი, აითვისეს აგრეთვე ხელოვნური დაწვიმების აპარატის გამოშვება. ამ ხელსაწყოს ახლა ფართოდ იყენებენ სოფლის მეურნეობაში. ეითვისებთ წყლის ჩამკეტი ურდულების წარმოებას.

გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების სათავეში არიან მექანიკური და ხისდამმუშავებელი საამქროები, რომლებსაც ა. წოდოლიშვილი და ვ. ბეროშვილი ხელმძღვანელობენ. შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევიან ხარატები გ. თულინი, ვ. ჩაშუხინი, ხისდამმუშავებელი გ. უთალიშვილი, შემდუღებელი ნ. ქათიბაშვილი.

გავეცანით ქუთაისის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების თაოსნობას, რომელიც ითვალისწინებს ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით დამატებითი პროდუქციის გამოშვებას. გადავხედეთ ჩვენს შესაძლებლობას და გადავწყვიტეთ გამოვუშვათ 300 ათასი მანეთის პროდუქცია.

ეს რედაქციას აცნობა თელავის საგზაო მანქანების შემკეთებელი მექანიკური ქარხნის დირექტორმა თ. სულხანიშვილმა.

## მანქანას — ხარისხის ნიშანი

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის პროდუქციამ შორს გაითქვა სახელი. ელექტროურიკების საექსპორტო რუკა ოცზე მეტ ქვეყანას მოიცავს. ქარხნის კოლექტივი ყოველწლიურად ზრდის მანქანების გამოშვებას, აუმჯობესებს მათ კონსტრუქციასა და საექსპლოატაციო თვისებებს.

„ეტ-2040" მარკის ელექტროურიკის სერიული გამოშვება შარშან დაიწყო. აღნიშნული ელექტროურიკა გაგზავნილი იყო ბაზელის, ლაიფციგის, „ავტოსერვის-73" საერთაშორისო გამოფენებზე და ყველგან დიპლომებით დაჯილდოვდა. აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ 1972 წელს ამ ელექტროურიკას მიანიჭა ხარისხის უმაღლესი კატეგორია.

ახლახან მოსკოვიდან საწარმომ სასიხარულო ცნობა მიიღო. სსრ კავშირის სახელმწიფო სტანდარტის კომიტეტმა ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის ნაწარმს „ეტ-2040" მარკის ელექტროურიკას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიაკუთვნა.

საწარმოს კოლექტივი მიღწეულს არ სჯერდება. აქ შეუდგნენ მაღალი წარმადობის ახალი სატრანსპორტო მანქანის ათვისებას. ეს არის „ეტ-2041" მარკის ელექტროურიკა. მისი სატვირთო ბაქანი უფრო დიდია, გაუმჯობესებულია საექსპლოატაციო თვისებები. საცდელი ნიმუშის პირველმა მანქანებმა გამოცდა ჩააბარეს. საწარმო ემზადება ახალი მანქანების სერიული გამოშვებისათვის.

მ. გორგილაძე.

## მუკუზნის ზვრებში რთველია!



რთველი თანდათან კახეთის სხვა რაიონებში ვრცელდება. ამჯერად იგი გურჯაანის — მევენახეობის ამ წამყვანი რაიონის ზვრებს ესტუმრა. იკრიფება რქაწითელი და საფერავი. მართალია, ყინვებმა და სეტყვამ დააზიანა ვაზი, მაგრამ კარგმა მოვლა-პატრონობამ, ყოველდღიურმა ზრუნვამ ნაყოფი გამოიღო.

მუკუზნის მეურნეობის მეორე აგროგანყოფილებას უშანგი სოლომონიშვილი ხელმძღვანელობს. ამ განყოფილების მეცამეტე ბრიგადაში 27 მუშა კრეფდა ყურძენს პირველ დღეს და ქარხანაში 10 ტონა საფერავი გაგზავნეს. ყინვისაგან დაზიანებულ ვენახებში ნაცვლად 34 ცენტნერისა, 40 ცენტნერ ყურძენს იღებენ.

ყურძნის კრეფაში პირველ დღესვე გამოჩნდნენ ბეჭითები. ზინა ძულიაშვილი, ნაზი ჭამიაშვილი, გულნარა გეჯაძე, ლიდა მამულოვი ყურძნის კრეფის დღიურ დავალებას გადამეტებით ასრულებენ.

ჩუმლაყელების თაოსნობით გაჩაღებულ მოძრაობაში საკარმიდამო ვენახებიდან სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის შესახებ ერთ-ერთი პირველი ჩაება ჩუმლაყელი ბრიგადირი ვალოდია ხეტეშვილი. წელს იგი 5 ტონა ყურძენს მიიტანს სახელმწიფო მარანში, ბრიგადის ვენახებსაც ჩინებულად უვლის და საკარმიდამოსაც.

• • •

სურათებზე: ზევით რთველი მუკუზნის საბჭოთა მეურნეობაში; ქვემოთ — ჩუმლაყელი მოწინავე ბრიგადირი ვ. ხეტეშვილი ვენახში.

თ. გოგიაშვილის ფოტო.

## ეს დღეები სოფლად

### იღებენ სიმინდს, მზესუმზირას

შემოდგომის პირველ თვეში — სექტემბერში ბევრი გადაუდებელი სამუშაოა. სოფლის მშრომელები საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების დასათესად ამზადებენ ნიადაგს, კონდიციამდე აჰყავთ თუთლი, მევენახეები რთვლისათვის ემზადებიან, მიმდინარეობს სამარცვლე სიმინდის აღება. ამ კულტურის მოსავალი სულ აღებულია 129.556 ჰექტარზე.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით სამარცვლე სიმინდის აღებას შეუდგნენ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ყვარლის, ბოლნისის რაიონებში აღებულია ასობით ჰექტარი სიმინდი. მხვნელ-მთესველები აძლიერებენ სამარცვლე სიმინდის აღების ტემპს, რათა სიმინდისაგან განთავისუფლებულ დიდ ფართობებზე დათესონ საშემოდგომო კულტურები.

დასასრულს უახლოვდება მზესუმზირას მოსავლის აღება. წითელწყაროს რაიონში აღებულ ფართობებზე საშუალოდ ჰექტარზე მზესუმზირას მოსავალმა 14 ცენტნერს გადააჭარბა. ამ კულტურის უკანასკნელ ჰექტარებს იღებენ სიღნაღის, საგარეჯოს, გურჯაანის, ახმეტის რაიონებში.

### ამზადებენ ნიადაგს

სექტემბერში იწყება საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვა. მხვნელ-მთესველები, მექანიზატორები მასობრივად არიან გასული მინდვრად და ნიადაგს ამზადებენ პურეულის დასათესად. მიმდინარეობს ხვნა. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით საშემოდგომო კულტურების დასათესად მოხნულია 109 ათას ჰექტარზე მეტი. ამ შემოდგომაზე კი პურეული უნდა დაითესოს 190.222 ჰექტარზე.

წითელწყაროს რაიონის მხვნელ-მთესველები ყველაზე მეტ — 29.270 ჰექტარ პურეულს დათესავენ. მათ დასათესად მოხნეს გეგმის ნახევარზე მეტი. ასევე დიდ ფართობებზე დათესავენ თავთავიან კულტურებს სიღნაღის რაიონში. აქ გეგმით უნდა დათესონ 23.063 ჰექტარი. ნიადაგი მოხნულია 80 პროცენტზე მეტი.

როგორ მიმდინარეობს ხვნა სხვა რაიონებში? საგარეჯოს რაიონში ხვნის დავალება შესრულებულია 72 პროცენტით, მარნეულის — 76, ბოლნისის — 77, ქარელის — 95, ხაშურის — 66, თეთრი წყაროს — 68, გორის — 62, ახმეტის — 63, გარდაბნის — 63, მცხეთის — 63, თელავის — 45, კასპის — 53, დმანისის რაიონში — 51 პროცენტით, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 51 პროცენტით

საშემოდგომო კულტურების დასათესად ნიადაგის ხვნის პარალელურად მიმდინარეობს მზრალად ხვნა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საგაზაფხულო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის. მზრალად უნდა მოიხნას 174.848 ჰექტარი. მოხნულია გეგმის მხოლოდ მეოთხედი.

მზრალად ხვნის გეგმის შესასრულებლად საკმაო დროა დარჩენილი, მაგრამ რაც უფრო მალე მოიხვნება მზრალი, მით უფრო კარგია. ეს სამუშაო უნდა დამთავრდეს თოვლისა და ყინვების მოსვლამდე. სიღნაღის რაიონში მზრალად მოხნულია 5.708 ჰექტარი, ანუ გეგმის 64 პროცენტი. წითელწყაროს რაიონში მზრალად ხვნის დავალება შესრულებულია 47 პროცენტით, გორის — 23, ქარელის — 25, გურჯაანის — 34, ყვარლის — 11, გარდაბნის რაიონში — 23 პროცენტით.

## დღის წესრიგშია თეატრის პრობლემები

15 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომლის მონაწილენი განიხილავდნენ განვლილი თეატრალური სეზონის შედეგებს, მომავლის გეგმებს. თათბირში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის თეატრალური მოღვაწენი, შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ.

რესპუბლიკის თეატრების წინაშე მდგომი პრობლემებისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნ. გურაბანიძემ.

ქართული თეატრის აწმყოსა და მომავლის შესახებ დამსწრეთ თავიანთი აზრები გაუზიარეს თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ, თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორმა ა. ბაქრაძემ, თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორმა ი. ბერიძემ, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. ხაბეიშვილმა, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორმა ე. გუგუშვილმა, თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ე. ბაიკოვსკიმ, აჭარის კულტურის მინისტრმა ლ. ბოლქვაძემ, მწერალმა თ. ჭილაძემ, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რუსთავის სახელმწიფო თეატრის მხატვრულმა კონსულტანტმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გ. ლორთქიფანიძემ, სოხუმის ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორმა ა. არღუნმა, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის დრამატული თეატრის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა გ. ებრალიძემ, მესხეთის დრამატული თეატრის მთავარმა რეჟისორმა ნ. დემეტრაშვილმა.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე.

თათბირის ყურადღების ცენტრში იყო ისეთი საჭირბოროტო პრობლემები, როგორიც არის პროფესიონალიზმის ამაღლება, დრამატურგია და თანამედროვეობა, თეატრის მოქალაქეობრივი პოზიცია, მსახიობთა ახალი თაობის აღზრდა.

თეატრი, რომელიც განზე უდგას საერთო-სახალხო ამოცანებს, ხაზი გაუსვეს თათბირის მონაწილეებმა, ვერ განვითარდება, ვერ შეასრულებს თავის მთავარ მისიას — ვერ აღზრდის ახალ ადამიანს.

ქართული თეატრის, ეროვნული დრამატურგიის წარმატებანი აღიარებულია ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ეს როდი გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას, რადგან ამოცანები, რომლებიც დღეს დგას რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წინაშე, უნდა გადაწყდეს ერთიანი ფრონტით ჩვენი სამეურნეო, პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში. თეატრის როლი ამ ამოცანის შესრულებაში დიდია, მით უმეტეს, რომ ქართული თეატრის ტრადიციები საზოგადოებრივ თვითშეგნებაზე ქმედითი, აქტიური გავლენის მკაფიო მაგალითს წარმოადგენენ. თეატრმა მთავარი ყურადღება უნდა დაუთმოს თანამედროვე სინამდვილეს, ხელოვნების საშუალებებით გასცეს პასუხი მტკივნეულ საკითხებს, დადებითი გმირის მაგალითით აღზარდოს მაყურებელი.

თათბირზე დიდი ადგილი დაეთმო თეატრალური კოლექტივების პარტიული ხელმძღვანელობის პრაქტიკას, შემოქმედებითი პროცესების რეგულირებაში მის კომპეტენტურობას.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. გილაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჩერქეზიშვილი. (საქინფორმი).

## გენერალურ ასამბლეაზე

17 სექტემბერს მოსკოვიდან ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVIII სესიაზე გაემგზავრა საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

ამავე დროს ნიუ-იორკში გაფრინდნენ უკრაინის სს რესპუბლიკის დელეგაცია უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის გ. გ. შეველის მეთაურობით და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დელეგაცია ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ე. გურინოვიჩის მეთაურობით. (საკდესი).

## ქალბატონ ორტენსია ბუსი დე ალიენდეს

შეძრწუნებული ვართ იმ ცნობით, რომ ტრაგიკულად დაიღუპა თქვენი მეუღლე სალვადორ ალიენდე გოსენსი, ჩილეს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ჩილეს რევოლუციის საქმისათვის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის მამაცი მებრძოლი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე. გთხოვთ თქვენ და თქვენი ოჯახის წევრებს მიიღოთ ჩვენი გულწრფელი სამძიმარი და თანაგრძნობა. ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას ამ აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო.

ნ. პოდგორნი.

## ზეიმი ნოვოროსიისკსა და ქერჩში

ნოვოროსიისკი, 15 სექტემბერი. (საკდესი). ზეიმობს მზის სხივებში გახვეული, საზეიმოდ მორთული ქალაქი-ნავსადგური ნოვოროსიისკი. მშრომელები და ათასობით სტუმარი — სამამულო ომის წლებში აქაური ბრძოლების მონაწილენი, რომლებიც ჩამოვიდნენ ფაშისტ დამპყრობთაგან ქალაქის განთავისუფლების 30 წლისთავის ზეიმზე, მღელვარებით და სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ნოვოროსიისკისათვის „გმირი ქალაქის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ, რომელიც დღეს პრესამ გამოაქვეყნა.

სამშობლოს საპატიო ჯილდო ყველას ახარებს.

სიტყვა ეძლევა სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივანს ს. თ. მედუნოვს. ხანგრძლივი ტაშის გრიალში მან წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მისასალმებელი დეპეშა გმირი ქალაქის ნოვოროსიისკის მშრომელებისადმი, ნოვოროსიისკის ბრძოლის მონაწილეებისადმი, შემდეგ იყო მისალმებანი.

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

ქერჩი. 15 სექტემბერი. (საკდესი). 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩაქრა ომის ხანძარი ქერჩის ნახევარკუნძულზე. მაგრამ საბჭოთა ხალხის მეხსიერებაში მუდამ იცოცხლებს საბჭოთა მეომრების უმაგალითო გმირობა.

ელვის სისწრაფით გავრცელდა ქერჩელებში ცნობა იმის შესახებ, რომ მათ ქალაქს მიენიჭა გმირი ქალაქის საპატიო წოდება და დაჯილდოვდა ლენინის ორდენით და ოქროს ვარსკვლავის მედლით. დილიდანვე ქერჩის ქუჩები სადღესასწაულოდ მოირთო.

ქალაქის მცხოვრებლები და სტუმრები დღეს შეიკრიბნენ მოედანზე, სადაც აღმართულია ვ. ი. ლენინის ძეგლი. აქ გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი.

სიტყვა ეძლევა პარტიის ქერჩის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ა. კ. ემინს.

— დღეს, — თქვა მან, — ქერჩის მიწა-წყალზე დიდი, ნათელი დღესასწაულია. თავიანთი მშობლიური ქალაქისათვის დიდი სიხარულითა და სიამაყითაა აღსავსე ქერჩის მშრომელთა გული.

დამსწრეთა ტაშის გრიალში უკრაინის კომპარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. კ. კირიჩენკომ წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება გმირი ქალაქის ქერჩის მშრომელებისადმი და ქერჩის ნახევარკუნძულზე გმირული ბრძოლების მონაწილე მეომრებისადმი.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი წერილი უკრაინის კომპარტიის ქერჩის საქალაქო კომიტეტისადმი, ქერჩის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსადმი წაიკითხა უკრაინის პროფესიული კავშირების საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ა. სოლოგუბმა.

შემდეგ გმირი ქალაქის ქერჩის მშრომელებს მიესალმნენ მიტინგის მონაწილე წარჩინებული ადამიანები.

საქალაქო პარტიული ორგანიზაციის, ქერჩის ყველა მშრომელის სახელით ა. კ. ემინმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ სამშობლოს მაღალი ჯილდოს პასუხად ქალაქის მშრომელები, ყველა მცხოვრები თავიანთი შრომით ამრავლებენ სამშობლოს დიდებას.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი დეპეშა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

ქალაქ ქერჩისათვის გმირი ქალაქის წოდების მინიჭება და ლენინის ორდენითა და ოქროს ვარსკვლავის მედლით დაჯილდოება ძვირფასია ქერჩის ნახევარკუნძულის ბრძოლების თვითეული მონაწილისათვის, ქალაქის თვითეული მცხოვრებისათვის.

დიდების ობელისკი და მითრიდატის მთა, სადაც მარადიული ცეცხლი ანთია, აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოები, დაღუპულ გმირთა საფლავები შეამკეს გვირგვინებითა და ყვავილებით.

## ახალი კრებული

### „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხები"

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა დოკუმენტების კრებული: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხები". წიგნი შეიცავს მთლიანად და ნაწილობრივ სკკპ XXIII და XXIV ყრილობების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს ორგანიზაციულ-პარტიულ საკითხებზე.

კრებულში გამოქვეყნებული მასალები ასახავენ პარტიის ხაზს, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფას, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების მტკიცედ დაცვას, პარტიის რიგების შემდგომ შეკავშირებასა და მუშათა კლასთან, მთელ საბჭოთა ხალხთან პარტიის კავშირის ყოველნაირად განმტკიცებას.

კრებული მოამზადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებამ. (საკდესი).

## ჩვენს დიად სამშობლოში

# მოწინავეთა გამოცდილება — ყველას!




**სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოწინავე საწარმოო გამოცდილების ფართოდ დანერგვას, ვალდებულებათა შესრულების რეგულარულად შემოწმებას და შედეგების შეჯამებას, შეჯიბრების შედეგების ფართო საჯაროობისა და შესადარობის უზრუნველყოფას.**

*სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.*




**□ 410 მიმდევარიდან 280 უკვე გაუტოლდა ნოვატორის დონეს □ ნოვატორი ც. ხმალაძე 36 თითისტარის ნაცვლად ემსახურება 72 თითისტარს □ ცხელი გაჭიმვის საამქროში 300 კილოგრამიდან 360 კილოგრამამდე აიყვანეს ნოვატორთა დღიური მაჩვენებელი □ ოთხი მძახავი მომავალი ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს □ 15 პროცენტით გაიზრდება თვითეული მუშის გამომუშავება.**

შეჯიბრება, ძიება

## პირველი ნაბიჯები

### რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში შეაჯამეს ამ შეჯიბრების შედეგები

როცა ქარხანაში გადაწყვიტეს, მოწინავის დღევანდელი მიჯნა ხვალ თვითეულის მიღწევად უნდა ვაქციოთო, აქა-იქ გამოჩნდნენ სკეპტიკოსები.

— ამაო ცდაა.

— ეს საქმე არ გამოვა.

— არარეალურია... — ამბობდნენ ისინი.

ახალი წამოწყების შემდეგ სამი თვე გავიდა. მუშაობის ეკონომიურმა მაჩვენებლებმა ცხადყვეს ინიციატივის დიდი მნიშვნელობა.

ამ თაოსნობას რომ იწყებდნენ, ქიმიკოსებმა შეიმუშავეს მისი განხორციელების ორგანიზაციული ღონისძიებები. ამასთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაეკისრა, ოპერატიული და კონკრეტული ხელმძღვანელობა გაეწია ქარხანაში ახალი ინიციატივის დანერგვისათვის. და ამ ახალი თაოსნობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ის იყო, რომ მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში ჩაებათ ახალი და ახალი ადამიანები.

როგორც აღვნიშნეთ უკვე გაანალიზებულია ახლებურად მუშაობის პირველი სამი თვის — მაისის, ივნისის და ივლისის მუშაობის შედეგები. სამი თვე არც თუ ისე დიდი დროა, მაგრამ ეკონომიურმა გაანგარიშებამ ნათელყო კოლექტივის თაოსნობის უდიდესი მნიშვნელობა, თვითეული წევრი დღის უკეთ მუშაობს, ვიდრე გუშინ, ცდილობს ხვალ აუცილებლად გადააჭარბოს დღევანდელ დონეს.

ინიციატივის დაწყებისას ქარხანაში 73 მოწინავე მუშა იყო. იკისრეს წელსვე მათ დონემდე აეყვანათ 410 მუშა. ყველას აინტერესებდა, თუ როგორი იქნებოდა ახლებურად მუშაობის პირველი შედეგები, და აი გაირკვა, რომ 280 კაცი უკვე გაუტოლდა ნოვატორთა დონეს, 32 კაცი კი ახლოს დგას მიზანთან.

ახლა ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ახალი წამოწყება რეალურ საქმედ იქცევა, არის იმის გარანტია, რომ ყველა პირობა ვადამდე და პირნათლად იქნება შესრულებული.

ქარხანაში ერთ-ერთი საუკეთესო ნოვატორია ცხელი გაჭიმვის საამქროს მძახავი ც. ხმალაძე.

ჩვენ გავეცანით მის მუშაობას. იგი ნაცვლად 36 თითისტარისა 72 თითისტარს ემსახურება, ცვლაში 530 კილოგრამამდე ძაფს უშვებს, მაშინ როცა ნორმა 300 კილოგრამის გამოშვებას ითვალისწინებს. 72-72 თითისტარის მომსახურებას შეუდგნენ მ. გოგინაშვილი, მ. ჩომახიძე და კიდევ 31 მძახავი.

თუ რა საერთო შედეგი მოჰყვა ქარხანაში ახალ ინიციატივას, ამაზე მეტყველებს შემდეგი ციფრები: წლიური ვალდებულებით გათვალისწინებული 350 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის ნაცვლად უკვე 8 თვეში რეალიზებულია 500 ათასი მანეთის პროდუქცია, აპრილთან შედარებით მაისსა, ივნისსა და ივლისში, როცა ქარხანაში მასობრივად გაჩაღდა ლაშქრობა მოწინავეთა დონის მიღწევისათვის, 5,3 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, 1.426 საათით შემცირდა მოცდენები, ცხელი გაჭიმვის საამქროში პროდუქციის წარმოება გადიდდა 3,5 პროცენტით, სართავ საამქროში — 3,1 პროცენტით, ხოლო კორდის სახვევ საამქროში — 6,2 პროცენტით.

ცხელი გაჭიმვის საამქროში მომსახურების ზონის გაფართოებით მოწინავეთა გამომუშავების საერთო საშუალო ნორმამ მაისსა, ივნისსა და ივლისში 300 კილოგრამიდან 360 კილოგრამს მიაღწია. ამიტომ არის, რომ საამქროს კოლექტივმა ახალი გადიდებული ვალდებულებით, სწორედ მაისსა, ივნისსა და ივლისში მიღწეული წარმატება მიიჩნია საამქროს ყველა მძახავის საერთო მისაღწევ მიჯნად.

გამოეხმაურნენ რა ახალ თაოსნობას, ქარხნის მოწინავეთა დაფებზე გაჩნდნენ სულ ახალი და ახალი სახელები: ვ. საბაშვილი, მ. ლოლაშვილი, ზ. ლობჟანიძე, პ. მჟავია, მ. ქავთარაძე, გ. კირილენკო, ე. აბრამიანი და მრავალი სხვა. როცა მეცხრე ხუთწლედის ისტორია დაიწერება, ეს სახელები მასში ოქროს ასოებით შევა. და ეს კანონზომიერიც იქნება. თვითეულმა მათგანმა ხომ ამ ბოლო თვეებში ორ-ორ დაზგასთან იმუშავა და ცვლაში 430 კილოგრამი ძაფი გამოუშვა. ეს მონაცემები თითქმის ორჯერ აღემატება ნორმით გათვალისწინებულს.

დღევანდელი ნოვატორის დონე ხვალ რომ თვითეულის მიღწევად იქცეს, ამისათვის რუსთაველი ქიმიკოსები ეფექტურად იყენებენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე ქიმიკოსი ნოვატორების მუშაობის გამოცდილებას. ქარხანაში ცოტა მუშაობა როდი გასწიეს იმისათვის, რომ ცნობილი დაუგავპილსელი მძახავის ფ. რიბაკოვას მეთოდით მუშაობაზე გადასულიყვნენ.

რაში მდგომარეობს ფ. რიბაკოვას მეთოდი? ლატვიელი ქიმიკოსი ემსახურება მანქანის ორივე ხაზს და ამით აღწევს დიდ ეკონომიურ ეფექტს. სიახლეთა გაბედულმა დანერგვამ რუსთაველ ქიმიკოსებს წინსვლის დიდი გზა გაუხსნა. ახლა ქარხანაში 177 კაცი ნოემბრის ანგარიშში მუშაობს, 117 კაცი — დეკემბრის ანგარიშში, ხოლო 55 კაცი 1974 წლის გეგმას ასრულებს. ოთხი ქიმიკოსი — გ. გაგუა, ე. პოლუაშვილი, ტ. მოლდარევა და ს. ჯიბაშვილი — უკვე მომავალი ხუთწლედის პროგრამის შესრულებას შეუდგა.

ქარხნის დირექტორმა ი. გრძელიძემ და პარტიული კომიტეტის მდივანმა შ. შარაბიძემ გაგვაცნეს ამ ბოლო დროს განხორციელებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები: ძირითად საამქროებში დაუნერგავთ დანადგარ-მოწყობილობის ბრიგადული მომსახურების პრაქტიკა, ამასთან დაუდგენიათ სამუშაო დროის, არასაწარმოო დანაკარგების მიზეზები და მიუღიათ ზომები მათი გამოსწორებისათვის. ქარხანაში გაუმჯობესდა აგრეთვე ნედლეულის, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების მომარაგება, მომსახურების ზომების გაფართოებით აქ დიდძალი მუშახელი გამოთავისუფლდა.

ახლო მომავლისათვის კი გათვალისწინებული აქვთ სარემონტო პერსონალი გადაიყვანონ ანაზღაურების სანარდო სისტემაზე, შეამცირონ წარმოების ნარჩენები, შეისწავლონ და დანერგონ მოწინავეთა ახალი გამოცდილება, ტექნიკის სიახლენი. უდიდესი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე ახალი წოდების — პროფესიის მიხედვით ქარხნის მოწინავე მუშის წოდების დაწესებას, მატერიალური ანაზღაურების ახალი ფორმების შემოღებას. წინასწარი ვარაუდით 15 პროცენტით გაიზრდება თვითეული მუშის წლიური გამომუშავება.

...დიდი შრომითი ამაღლობაა ამჟამად ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში. ქიმიკოსების ნაწარმი — აბრეშუმის ძაფი, კორდი და კორდის ქსოვილი სულ მეტი რაოდენობით იგზავნება ჩვენი ქვეყნის ფაბრიკებში. სადაც ამ პროდუქციისაგან სხვადასხვა იშვიათ ნაწარმს ამზადებენ.

ასეთია ახლებურად მუშაობის პირველი შედეგები.

**ზ. მერკვილაძე.**
„კომუნისტის" საკ. კორ.

# დღეს მოწინავის მიჯნა, ხვალ თვითეულის მიჯნაა

## დაგეგმილი ზარალის შემდეგ

### „საიდუმლოება", რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია

ლაპარაკია არაგვისპირის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის წარმატებათა „საიდუმლოებაზე", რომელშიც, კაცმა რომ თქვას, არაფერი საიდუმლო არ არის.

არაგვისპირის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა 6 წლის წინათ რამდენიმე სუსტი კოლმეურნეობის ბაზაზე, მაშინ ვითვლიდით მხოლოდ 50 ჰექტარ ვენახსა და 36 ჰექტარ ბაღს, ახლა კი ბაღ-ვენახის ფართობმა უკვე 1.200 ჰექტარს გადააჭარბა, რომელსაც უახლოეს ორ-სამ წელიწადში შეუძლია ათასობით ტონა ყურძენი და ხილი მისცეს ქვეყანას.

მეურნეობა ამ ექვსი წლის მანძილზე ყოველთვის ზარალით იგეგმებოდა, მაგრამ ჩვენ სამეურნეო წელი არასოდეს ზარალით არ დაგვიმთავრებია. წელსაც ათეულ ათასობით მანეთ მოგებას მივცემთ სახელმწიფოს.

ჩვენმა მემინდვრეებმა უკვე დააბინავეს თავთავიანი კულტურების მოსავალი, საშუალოდ ჰექტარზე გეგმასთან შედარებით, ორი ცენტნერით მეტი მარცვალია მიღებული. ვიმედოვნებთ, რომ მემცენარეობის დანარჩენი დარგების მუშაკებიც — მებაღეები, მევენახეები, მებოსტნეები თავს არ შეირცხვენენ და აღებულ ვალდებულებას პირნათლად გაანაღდებენ.

მარცვლეულის კარგი მოსავალი მიიღეს ბრიგადირებმა ა. წიკლაურმა — ჰექტარზე 23 ცენტნერი, გ. მლიწკაურმა — 20 ცენტნერი, გ. ოზიაშვილმა — 15 ცენტნერი ამან საშუალება მოგვცა სახელმწიფოსათვის მიგვეყიდა 676 ცენტნერი მარცვლეული. გეგმით კი გათვალისწინებული იყო 350 ცენტნერის დამზადება.

როგორც ცნობილია, ჩვენი რაიონის მშრომელებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს მეცხოველეთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამ წარმატებაში ჩვენი მეურნეობის მეცხოველეთა წვლილიც არის. საყურადღებოა, რომ მეურნეობას ჰყავს 10 ათასზე მეტი ცხვარი, 1700-მდე სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და 800-ზე მეტი ღორი.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ მეცხოველეობის ყველა დარგის მუშაკები აღწევენ წარმატებას სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მეცხვარეებმა, რომელთაც კომუნისტი ვ. ყორბესაშვილი ხელმძღვანელობს, მიმდინარე წლის ნამატის მიღების გეგმა 110 პროცენტით შეასრულეს, ნაცვლად 83-ისა ყოველ 100 ნერბზე მიიღეს და გაზარდეს 93 ბატკანი. შრომის მაღალი ნაყოფიერებით თავი გამოიჩინეს მწყემსებმა მ. ჭინჭარაულმა, ა. ასაშვილმა, გ. წიკლაურმა, ს. ბიდოშვილმა და სხვებმა. ახლა ისინი ცხვარს პარსავენ და ზამთრის საძოვრებზე წასასვლელად ემზადებიან. მათი ვალდებულებაა წელს ცხვარი უკეთესად გამოაზამთრონ, ვიდრე შარშან, შეინარჩუნონ მეტი ნამატი, გაპარსონ მეტი მატყლი.

მეურნეობას ჰყავს 422 ადგილობრივი ჯიშის ძროხა. მეცხოველეთა ვალდებულებაა წლის განმავლობაში თვითეულ ძროხაზე მიიღონ 1.105 კილოგრამი რძე. რვა თვეში ჩვენმა მწველავებმა უკვე მიიღეს 822 კილოგრამი რძე, ხოლო მესამე ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი ბრიგადირი ი. ჩიხაშვილი ხელმძღვანელობს, საშუალოდ ერთ ძროხაზე 1.023 კილოგრამი რძე მიიღო. უკეთესი შედეგები აქვთ ამ ბრიგადის მწველავებს მ. გოგოჭურსა და თ. ფრიდონაშვილს, რომლებმაც სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი წლიური ვალდებულება 8 თვეში დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. პირველმა საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღო 1.204 კილოგრამი რძე, მეორემ — 1.134 კილოგრამი. ამ ბრიგადის ყველა წევრი წლის დასაწყისიდანვე მოწინავეა.

ახლა ისევ წარმატებათა „საიდუმლოებაზე".

უწინარეს ყოვლისა, ეს არის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა. ჩვენთან მეურნეობაში არ არის კაცი, რომელიც დიდი ხალისით არ იყოს ჩაბმული იმ შრომითს პაექრობაში, შარშან მეოთხე კვარტალში მთელ ჩვენს ქვეყანაში რომ გაჩაღდა.

შრომითი შეჯიბრება არც ისე იოლი საქმეა. ეს არის დიდი პასუხისმგებლობა მაღალნაყოფიერი შრომისათვის, ყოველდღიური ზრუნვა იმისათვის, რომ ყველა მუშაკი იმაღლებდეს კვალიფიკაციას, სწავლობდეს და წარმოებაში ნერგავდეს მეცნიერების მიღწევებს და მოწინავე გამოცდილებას, რად შეიძლება მცირე დანახარჯებით ქმნიდეს მეტ და მაღალხარისხოვან პროდუქციას. ეს არის აგრეთვე იმაზე ზრუნვა, რომ ყველა ადამიანი თავის გამოცდილებას უზიარებდეს სხვებს, რათა მათაც მიაღწიონ მოწინავეთა დონეს.

სოციალისტური შეჯიბრება ნამდვილად ჩვენი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და დირექციის ყოველდღიური საზრუნავად იქცა. ამ საქმეში ბევრს აკეთებს სოციალისტური შეჯიბრების შტაბი, რომელსაც პარტიული კომიტეტი ხელმძღვანელობს. ფართოდ ვიყენებთ შეჯიბრების საჯაროობას. ჩვენთან სტუმრად მოსულ კაცს არც დასჭირდება ვინმეს შეეკითხოს ჩვენს გეგმებსა და ვალდებულებებზე, მას შეუძლია უკითხავად გაიგოს ეს მეურნეობის ტერიტორიაზე გამოკრული ლამაზი სტენდებით, საპატიო დაფებით, პლაკატ-ლოზუნგებით, რომლებზედაც გასაგებად და ნათლად არის ასახული წარმოების მოწინავეთა შრომითი წარმატებანი და ნახოს ზოგიერთთა ჩამორჩენაც.

სოციალისტურ შეჯიბრებაზე იწერება კედლის გაზეთებში, საბრძოლო ფურცლებში. თვეში ერთხელ შეჯიბრების შტაბი აჯამებს შრომითი პაექრობის შედეგებს ცალკეული ბრიგადების მიხედვით, სამ თვეში ერთხელ კი შეჯიბრების შედეგებს ამოწმებენ მეურნეობის უბნების მიხედვით, გამარჯვებულებს ეძლევათ პრემიები, საპატიო სიგელები, მათი ფოტოსურათები საპატიო დაფაზე გამოიფინება.

ამას წინათ მეურნეობის კოლექტივმა შეაჯამა სოციალისტური შეჯიბრების ნახევარი წლის შედეგები. იმ დღეებში ჩვენთან იყვნენ პოლტავის ოლქის კოტელვის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაციის წევრები, რომლებთანაც აგერ უკვე მერვე წელიწადია ჩაბმული ვართ სოციალისტურ შეჯიბრებაში; ჩვენ ერთმანეთს დიდი სიამოვნებით გავუზიარეთ საკუთარი გამოცდილება, დავდეთ შეჯიბრების ხელშეკრულება მომავალი 1974 წლისათვის. უკრაინელი მეგობრების თვალწინ მოწინავე უბნებს და ბრიგადებს გადავეცით გარდამავალი წითელი დროშები. 56 მოწინავემ მიიღო ფულადი პრემია, 41 მოწინავეს ბრძანებით გამოეცხადა მადლობა, მრავალი შევიტანეთ საპატიო დაფაზე.

მიღწეული არ გვაკმაყოფილებს. წინ კიდევ ახალი ზღუდეებია. ვეცდებით პატიოსნად შევასრულოთ ყველა ვალდებულება და ჩვენი წვლილი შევიტანოთ პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განაღდებაში.

**სალომე ჯარიაშვილი,**
დუშეთის რაიონის არაგვისპირის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

## საქმის სიყვარულით

### მთავარია პირუტყვის საკვები და მოვლა-პატრონობა

ჩვენი ფერმის კოლექტივმა გაზეთებიდან შეიტყო სასიხარულო ცნობა, რომ მეცხოველეთა საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა წითელწყაროს რაიონი. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ ამ წარმატებაში ჩვენი წვლილიც არის.

რაიონის მეცხოველეთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობას ერგო და **გარდამავალი ბროლის თასიც** ჩვენს კოლმეურნეობას მიეკუთვნა. სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ეს ჯილდო პირველ რიგში მეძროხეობის ფერმის კოლექტივს ეკუთვნის და მას ეს ჯილდო მოპოვებული აქვს თავდადებული შრომით.

მეცხოველეობის განვითარებას, როგორც ცნობილია, სამი ძირითადი პირობა უდევს საფუძვლად — **ჯიში, საკვები და მოვლა-პატრონობა.** 26 წელია, სპეციალობის მიხედვით, მეცხოველეობაში ვმუშაობ და დავრწმუნდი, რომ არის კიდევ ერთი პირობა, რომელიც არა მარტო განაპირობებს, არამედ წყვეტს ამ საქმეში მიღწევებს, გამარჯვებას. ეს არის ამ დარგისადმი სიყვარული, ერთგულება.

იმისათვის, რომ ფერმა მომგებიანი ყოფილიყო, ჩვენ პირველ რიგში ვეცადეთ გაგვეზარდა ჯოგში დედაპირუტყვის, ანუ პროდუქტიული პირუტყვის სულადობა. ახლა იგი ოთხმოც პროცენტს აღწევს. ჯიშისა და პროდუქტიულობის მიხედვით, გამოწუნებული პირუტყვი, აგრეთვე არა სანაშენო მოზარდი მთლიანად დაყენებული გვყავს სუქებაზე. მეძროხეობის ბრიგადაში საერთოდ არა გვყავს დაბალპროდუქტიული ძროხები. ისინი, რომლებიც დღეში 8-10 კილოგრამზე ნაკლებს იწველიან, გამოვყავით მეწველი ჯგუფიდან და ვაყენებთ სუქებაზე, რის შემდეგაც ვაბარებთ ხორცკომბინატს.

დიდი მუშაობა დაგვჭირდა იმისათვის, რომ შეგვემცირებინა რძის, ხორცის წარმოების თვითღირებულება. ეს არც თუ ისე იოლი საქმეა და მისი სათავე ბევრ რამეთან გამომდინარეობს. პირველ რიგში საჭირო იყო და მივაღწიეთ კიდეც იმას, რომ შეგვექმნით საკუთარი წარმოების საკვები ბაზა, მთელი რიგი ღონისძიებებით, კერძოდ, ურეში საკვების დამუშავებით. სხვადასხვა მინერალებით მისი გამდიდრებით ავამაღლეთ საკვების ყუათიანობა; სრული წესრიგი დავამყარეთ საკვების ხარჯვაში. საკვებს იბარებს და ანგარიშს ასწორებს ის პირი — მწველავი, მწყემსი, ვინც ხარჯავს მას, ვინც უშუალოდ აწარმოებს პროდუქტს. ზუსტად ვიცავთ სპეციალისტის მიერ შედგენილ კვების რაციონს.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მისი ხარისხის ამაღლების მეორე აუცილებელი პირობაა მექანიზაციის დანერგვა. პირუტყვის წველა, საკვების მომზადება და მიწოდება, სადგომების დასუფთავება ჩვენთან მთლიანად მექანიზებულია. თვითეული მწველავი 20-25 ძროხას უვლის.

არაერთხელ ნათქვამია და სწორია ის აზრი, რომ მეცხოველეობის განვითარებაზე, პროდუქტიულობის ამაღლებაზე ძალიან უარყოფითად მოქმედებს კადრების დენადობა. პირუტყვი ეჩვევა მომვლელს, განიცდის მის შეცვლას. ამიტომ გულისყურით ვეკიდებით მწყემსთა საყოფაცხოვრებო და შრომითი პირობების გაუმჯობესების საქმეს, მათი შრომის ანაზღაურებას, წახალისებას. მოწინავე მწველავები, მწყემსები 200-250 მანეთს და ზოგჯერ მეტსაც იღებენ თვეში.

წელს, ისე როგორც პურეულის, პირუტყვის საკვების დიდი მოსავალი იყო. დავამზადეთ საკვების ორი წლის მარაგი და არა მხოლოდ დავამზადეთ, კიდევაც მივზიდეთ მეცხოველეობის ფერმებთან. ისეთი ძვირფასი და ყუათიანი საკვები, როგორიც სენაჟია, 2000 ტონაზე მეტი გვაქვს დამზადებული.

ცხადია, ყოველივე ეს და მეცხოველეთა მონდომება, თავდადება განაპირობებს ჩვენს წარმატებებს მეცხოველეობაში.

ისე როგორც საერთოდ, ამ საქმეშიც აუცილებელია ანგარიში, მომჭირნეობა და ყაირათიანობა, ყოველდღიური, დეკადური და წლიური შემოწმება იმისა, თუ რას ხარჯავ ამა თუ იმ უბანზე და რა პროდუქციას იღებ, როგორია რენტაბელობა. მე ვიტყოდი, რომ მეცხოველეობის განვითარებას ჩვენს კოლმეურნეობაში იქიდან ჩაეყარა საფუძველი, როცა ყველა ფერმა, ბრიგადა გადავიდა შიდასამეურნეო ანგარიშზე, როცა ანალიზი კეთდება იმის მიხედვით, თუ თვითეული ბრიგადა, ფერმა რა შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობას.

უკვე მეოთხე წელია, ჩვენს კოლმეურნეობაში მეცხოველეობის ყველა დარგი მომგებიანია. მარტო შარშან მეცხოველეობიდან მოგებამ 351 ათასი მანეთი შეადგინა, მათ შორის მეძროხეობის ფერმიდან — 113.759 მანეთი.

მეცხოველეთა პასუხისმგებლობა, საქმისადმი ინტერესი კიდევ უფრო ამაღლდა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შემდეგ. ახლა ყველა მეცხოველე არა მარტო თავისი შრომის, არამედ მასთან შეჯიბრებაში ჩაბმული პირის ყოველდღიური კონტროლიორია.

მიმდინარე წლის რვა თვის შედეგების მიხედვით შეჯიბრებაში დაწინაურდა მეორე ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი თ. სულაშვილი ხელმძღვანელობს. მწველავთა შორის გარდამავალი დროშა კი კვლავ ცარო ალხანიშვილს გადაეცა.

ფერმის 440 ძროხიდან საშუალოდ თვითეულზე მიღებულია 2.218 კილოგრამი რძე. კიდევ უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ცალკეულ მწველავებს — თამარ გიგაურს, მარიამ ქისტაურს. მათ თვითეულ ძროხაზე რვა თვეში საშუალოდ 2.700-2.800 კილოგრამი რძე მიიღეს. მთლიანად ფერმას უკვე მოწველილი აქვს 9.736 ცენტნერი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.717 ცენტნერისა.

ეს შედეგები შეიძლება თავისთავად კარგი იყოს. მაგრამ როდი გვაკმაყოფილებს. ჩვენი მიზანია დავეწიოთ ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეურნეობებს, ფერმებსა და ბრიგადებს. მომავალში ვიშრომებთ იმისათვის, რომ თვითეულ საფურაჯე ძროხაზე მივიღოთ სულ მცირე 4-5 ათასი კილოგრამი რძე.

**დ. ბაცაცაშვილი.**
წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის გამგე.

## სენაჟის, თივას, სილოსის...

საგარეჯოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ფერმებში 1.500 სულზე მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვია. 503 მეწველი ძროხა ყოველდღიურად დიდძალ რძეს იძლევა. საგარეჯოელებმა პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა გაზაფხულიდანვე დაიწყეს. მათი გადაწყვეტილებაა პირუტყვს დაუმზადონ წლინახევრის მარაგი.

მეურნეობის საკვებმომპოვებლებს ახლა უკვე აქვთ ერთგვარი წარმატება. 750 ტონის ნაცვლად უკვე ჩადებულია 1.260 ტონა სენაჟი. დამზადდება აგრეთვე 2.280 ტონა თივა და 4.680 ტონა სილოსი. ახლა სასილოსე მასის აღება და ჩადება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. სასილოსე მასის აღებაზე კარგად მუშაობს მექანიზატორი ანდრო დარისპანაშვილი.

* * *

**სურათზე:** სასილოსე სიმინდის მწვანე მასის აღება საგარეჯოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



„კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

## სინდისგარეცხილნი

### რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ხაჩიძე.

**ამ სათაურით** გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, სადაც მხილებული იყვნენ ის მოქალაქენი, რომლებიც ცდილობდნენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ — რუსეთის ქალაქების ბაზრებზე სასპეკულაციოდ გაეტანათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. გაზეთის ამ კრიტიკულ გამოსვლასთან დაკავშირებით პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ხაჩიძემ რედაქციას აცნობა:

წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. კანონის დამრღვევნი ძირითადად აღმოჩნდნენ კოლხიდის სასოფლო საბჭოდან 15 კაცი, ბზიფის სასოფლო საბჭოდან — 14. ალახაძის სასოფლო საბჭოდან — 7, აგრეთვე „რუსთაველის" „სიხარულის" და სხვა საბჭოთა მეურნეობების ზოგიერთი მუშა.

საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ეს ფაქტები პრინციპული მსჯელობის საგანი გახდა.

აღმზრდელობითი მუშაობის, შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის შესუსტებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანაზე უყურადღებობისათვის კალინინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს გ. ხაგუშს, ბზიფის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ჰ. ხიზბას. ორჯონიკიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. ყარამანაშვილს, კოლხიდის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს გ. ჯიქიას. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. ზადიკიანს და ზემოთ დასახელებული სასოფლო საბჭოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს პარტიული სასჯელი დაედოთ.

გარდა ამისა, სოფლებში ლესელიძეში, ბზიფში, ალახაძეში და სხვ. გატარებულია მთელი რიგი ღონისძიებანი და განხილულია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების არაკანონიერი გატანის ფაქტები.

## მთვრალი საჭესთან

**ამ სათაურით** გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნული იყო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის „თბილქალაქმომარაგებაგასაღების" სამმართველოს ავტომანქანის მძღოლის შ. ა. სალარეიშვილის დანაშაულებრივი მოქმედება, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი — ადამიანის სიკვდილი. აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ ამ დაწესებულების გარაჟის მექანიკოსმა გ. ნ. შანყულაშვილმა მძღოლს მისცა შეუვსებელი საგზური.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის „თბილქალაქმომარაგებაგასაღების" სამმართველოს უფროსმა პ. ნაკაიძემ რედაქციას აცნობა, რომ „წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. მძღოლი შ. სალარეიშვილი მიცემულია პასუხისგებაში და იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, ხოლო გარაჟის მექანიკოსი გ. შანყულაშვილი მოხსნილია სამუშაოდან. მიღებულია გადამჭრელი ზომები მძღოლებს შორის შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის".

„კომუნისტის" ინტერვიუ

## მიწა, მანქანა, ადამიანი

### სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციის პრობლემები

**სამთო** მიწათმოქმედების მექანიზაციის მანქანებისა და იარაღების შექმნის საკითხზე თბილისში მოეწყო სემინარი. ინფორმაციით გამოვიდნენ სემინარის — ნიადაგის დასამუშავებელი და მოსავლის ასაღები მანქანების, სამთო მიწათმოქმედებაში სასოფლო-სამეურნეო პროცესების ოპერაციათა ტექნოლოგიის, სამთო ტრაქტორებისა და თვითმავალი შასების — ხელმძღვანელები. სემინარის მუშაობაში, გარდა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებისა, მონაწილეობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, ვიეტნამის, ჩეხოსლოვაკიის სპეციალისტები. სემინარის მუშაობა შეაჯამა სსრ კავშირის სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების დამმუშავებელი მანქანების სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, სოციალისტური შრომის გმირმა, გენერალურმა კონსტრუქტორმა, პროფესორმა შ. კერესელიძემ. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" თანამშრომელი ესაუბრა ამხ. **შ. კერესელიძეს.** ვბეჭდავთ საუბრის ჩანაწერს.

თბილისში გამართული სემინარის ძირითადი მიმართულებაა, — თქვა მან, — იმ მეცნიერულ-ტექნოლოგიური პრობლემების კოორდინირება, რომლებიც დაკავშირებულია სამთო მიწათმოქმედების კომპლექსური მექანიზაციის მანქანებისა და მოწყობილობის შექმნასთან. როგორც ვიცით, ამ მეტად საჭირო პრობლემის გადაწყვეტისათვის, მნიშვნელობა აქვს სამთო ფერდობმავალი ტრაქტორის შექმნას და ფერდობებზე ნიადაგის დამუშავების ტექნოლოგიის შემუშავებას. დღესდღეობით უკვე გვაქვს სხვადასხვა კონსტრუქციის სამთო ფერდობმავალი ტრაქტორები, რომლებიც მალე დაინერგება წარმოებაში. მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს საკმაოდ საიმედო სამთო მანქანები, მთლიანად გადაჭრილი როდია სამთო მიწათმოქმედებისათვის საწევი ტექნიკის შექმნის პრობლემა. ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი. მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა უნდა შეიმუშაონ და შექმნან არა მარტო ახალი ტექნიკა ფერდობებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისათვის, არამედ უნდა ჩამოყალიბდეს რთულ პირობებში ნიადაგის დამუშავების ახალი ტექნოლოგიაც.

გამოცდილებამ ცხადყო, რომ ფერდობების ნიადაგის დამუშავებისა და დატერასების საკითხები უნდა გადაიჭრას კომპლექსურად, სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტთა გამოკვლევების გათვალისწინებით.

სემინარზე აღინიშნა, რომ ამჟამად სამთო მიწათმოქმედებაში ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება დაბლობ რაიონებში მისი მექანიზაციის დონეს. ისიც ითქვა ხაზგასმით, რომ დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მცირე მექანიზაციის შექმნის საკითხს, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა არა მარტო მთის, არამედ აგრეთვე დაბლობი რაიონების მეურნეობებსაც.

10-15 გრადუსი დახრილობის ფერდობებზე ფართობების ათვისება ახალი მაღალი წარმადობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საშუალებით შესაძლებლობას მოგვცემს დამატებით მივიღოთ ქვეყანაში 12 მილიონ ტონაზე მეტი მარცვლეული და სამარცვლე პარკოსნები, 100 ათასი ტონა ჩაი და ციტრუსები, დაახლოებით 500.000 ტონა შაქრის ჭარხალი და ძირხვენები, მილიონ ტონაზე მეტი სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები, აგრეთვე 5 მილიონი ტონა პირუტყვის საკვები.

სამთო მიწათმოქმედების კომპლექსური მექანიზაციის საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ წამყვანი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და დამამზადებელი ქარხნების ერთობლივი მუშაობის შედეგად.

სემინარის მუშაობა მეტად სასარგებლო იყო. მისმა მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შემდგომი განვითარებისათვის, რათა შეიქმნას სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციის მანქანებისა და იარაღების მთელი კომპლექსი. სემინარის მასალები დიდ დახმარებას გაუწევს მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს ახალი მანქანების შექმნის საქმეში.

## წნორის მარკით — საექსპორტოდ

**წნორი,** 17 სექტემბერი. ამ დღეებში წნორის მექანიკური ქარხნის პროდუქცია — იატაკის დამგავ-დამსუფთავებელი მანქანა „კუ-403" გაიგზავნა კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ხოლო სუდანში გაიგზავნა ქიმიური მოწყობილობის ურიკები „ტ-1".

სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს წნორის მექანიკური ქარხნის კოლექტივი რამდენიმე სახეობის კომუნალური დანიშნულების მანქანებს უშვებს.

ქარხნის პროდუქციას ბევრი მომხმარებელი ჰყავს აგრეთვე მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, ბულგარეთში, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში. მას შეხვდებით მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ბრესტის, ორიოლის, მაგნიტოგორსკის, მაგადანის, ვლადივოსტოკის, ნოვოსიბირსკის, სახალინის, კალინინგრადის, ქვეყნის სხვა ქალაქებისა და სოფლების მაღაზიებში.

გამოშვებული პროდუქცია ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით და საიმედოობით ხელსაყრელია მოხმარებისათვის. ამიტომ „პმ-1" და „კუ-403" მარკის მანქანები დაჯილდოვდნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედლებით, სახელმწიფო საატესტაციო კომისიამ კი მისცა პირველი ხარისხის ჯგუფის შეფასება და მიაკუთვნა დიპლომები.

ქარხნის კოლექტივი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. (საქინფორმი).

# მსოფლიო დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიდი მნიშვნელობის მოვლენა

[illegible]

მომავალი ვიზიტისადმი მიძღვნილ კომენტარებში ხაზგასმულია, რომ ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს. ვიზიტი გაიმართება იმ მომენტში, ნათქვამია ბულგარეთის ტელევიზიის გადაცემაში, როცა საბჭოთა სამშვიდობო პროგრამა ახალ წარმატებებს აღწევს საერთაშორისო ასპარეზზე, როცა იზრდება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სიძლიერე და მტკიცდება მათი ერთიანობა.

სოფიის რადიო თავის კომენტარში აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევს უდიდესი პირადი წვლილი შეაქვს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში. ლ. ი. ბრეჟნევის ამ დამსახურებათა აღიარება გამოიხატა იმით, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მიენიჭა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი წოდება — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის წოდება. ქვეყნის მშრომელები, ნათქვამია, კომენტარში, ძმურად, გულთბილად და გულითადად მიესალმებიან ლ. ი. ბრეჟნევს დაჯილდოებასთან დაკავშირებით და დიდ მადლობას უხდიან მას იმის გამო, რომ დაუცხრომლად მოღვაწეობს მშვიდობისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის გამარჯვებისათვის.

## საქმიანი წრეები მხარს უჭერენ თანამშრომლობას

ნიუ-იორკი, 17 სექტემბერი. საქდესის კორესპონდენტი ა. ბობიკოვი გვატყობინებს:

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ახალი ეტაპი, რომელსაც დასაბამი მისცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის უმაღლესი დონის შეხვედრებმა და მოლაპარაკებამ, რეალურ პერსპექტივებს უსახავს ორი ქვეყნის ხელსაყრელ ეკონომიურ და სავაჭრო ურთიერთობის ყოველმხრივ განვითარებას. საქდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ასეთი აზრი გამოთქვა ამერიკის „მობილ ოილ კორპორეიშნის" ნავთობის კომპანიის პრეზიდენტმა უ. ტავოლარეასმა.

უ. ტავოლარეასმა აღნიშნა, რომ უმაღლესი დონის შეხვედრების შედეგად გამოირკვა, რომ ორივე ქვეყანა დაინტერესებულია დაამყარონ მტკიცე საქმიანი ურთიერთობა.

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ფხენიანი, 17 სექტემბერი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ ბოლო დროს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებს სამხრეთ კორეაში გადააქვთ დიდძალი იარაღი, ზრდიან ამერიკის შეიარაღებულ ძალებს კორეის რაიონში, სამხრეთ კორეის ხელისუფლებთან ერთად სამხრეთ კორეაში მართავენ სამხედრო მანევრებსა და წვრთნას, რომლებიც მიმართულია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დაგმო ეს მოქმედება და განაცხადა, რომ სანამ სამხრეთ კორეაში დგანან ამერიკის ჯარები, შეუძლებელია ჩრდილოეთი და სამხრეთ კორეის დიალოგის წარმატებით განვითარება, შეუძლებელია კორეის მშვიდობიანი გაერთიანება.

## საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და იტალიის კომუნისტური პარტიის კომუნიკე

პარიზი, 17 სექტემბერი. (საქდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჟ. მარშემ და იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. ბერლინგუერმა გაბედულად ამხილეს რეაქციული სახელმწიფო გადატრიალება ჩილეში და ჩილეს დემოკრატიის ხელყოფა, და განაცხადეს, რომ ორივე პარტია სრული სოლიდარობით ეკიდება ჩილეს მშრომელებსა და დემოკრატიულ ძალებს, რომლებიც ძნელ ბრძოლას აწარმოებენ. ეს ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ჟ. მარშესა და ე. ბერლინგუერის პარიზის 15 სექტემბრის შეხვედრის შესახებ.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივნებმა პატივი სცეს პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს, კომუნისტების, სოციალისტებისა და სხვა დემოკრატების ხსოვნას, რომლებიც სამხედრო ხუნტამ იმსხვერპლა ჩილეში.

შეხვედრის დროს, რომელიც საფრანგეთის კომპარტიისა და იტალიის კომპარტიის ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ძმური მეგობრობის სულისკვეთებით მიმდინარეობდა, აღნიშნულია კომუნიკეში, განიხილეს აგრეთვე ევროპის მდგომარეობა. ჟ. მარშემ და ე. ბერლინგუერმა კვლავ განაცხადეს, რომ ორივე პარტია ცდილობს ხელი შეუწყოს ახალ პროგრესს დაძაბულობის შენელების გზაზე და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის სრულ წარმატებას, ხალხთა მასების თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალური უფლებებისათვის ბრძოლის გაძლიერებას, დემოკრატიული ევროპის აშენებას.

## საქადრისად მიეზღოთ

გუაიაკილი, 17 სექტემბერი. (საქდესი). სპეციალურმა ტრიბუნალმა, რომლის სხდომები ეკვადორის დედაქალაქ კიტოში მიმდინარეობს, სხვადასხვა ვადის პატიმრობა მიუსაჯა 13 კაცს. განსასჯელთ ბრალად ედებად ამერიკის „ადა ოილ ექსპლორეიშნ კორპორეიშნის" ნავთობის კონცერნისათვის ნავთობის დიდი რაიონის გადაცემა გუაიაკილის ყურეში.

მსჯავრდადებულთა შორის არიან ამერიკის ნავთობის მონოპოლიათა წარმომადგენელი ჯოზეფ შენონ ვოლფი, ეკვადორის ზოგიერთი ყოფილი მინისტრი და სხვა მოღვაწე, რომლებმაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელი შეუწყვეს ყალთაბანდურ გარიგებას.

შარშან ეკვადორის მთავრობამ გააუქმა ამერიკის კონცერნთან დადებული კონტრაქტი და კონფისკაცია უყო მის საკუთრებას ეკვადორში.

## ვიზიტი დამთავრდა

პეკინი, 17 სექტემბერი. (საქდესი). საფრანგეთის პრეზიდენტი ჟ. პომპიდუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის დამთავრების შემდეგ დღეს სამშობლოში გაფრინდა.

## ერაყელი კომუნისტების ახალი გაზეთი

ბაღდადი, 17 სექტემბერი. (საქდესი). „ტარიკ აშ-შააბი" („ხალხის გზა") — ასე ეწოდება ერაყის კომუნისტური პარტიის ახალ ყოველდღიურ გაზეთს, რომლის პირველი ნომერი დღეს გამოვიდა. გაზეთი, ნათქვამია მოწინავე სტატიაში, იხელმძღვანელებს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, იგი გაილაშქრებს იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, იბრძოლებს დემოკრატიული ერაყისათვის, არაბეთისა და საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობასთან, სოციალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

„საბჭოთა კავშირთან ერაყის ურთიერთობა და სსრ კავშირისა და ერაყის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. — ხაზს უსვამს „ტარიკ აშ-შააბი", — ეფექტიან იარაღად მიგვაჩნია იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, სოციალური და ეკონომიური პროგრესისათვის ბრძოლაში".

# ჩილეს ძნელი დღეები

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. (საქდესი). [illegible]

[illegible] სიორის" კორესპონდენტს მანუელ მეხიდოს.

„მღელვარებისაგან ჩაწყვეტილი ხმით, — იუწყება მეხიდო, სენიორა ალიენდემ თქვა:

— დაე მთელმა მსოფლიომ იცოდეს სიმართლე იმაზე, რაც მოხდა: პრეზიდენტი ალიენდე გასცეს და ჩამოაგდეს ფაშისტური გადატრიალების შედეგად, და მისი დასაფლავება სრული საიდუმლოების ვითარებაში მოხდა.

ორტენსია ბუსი დე ალიენდემ თქვა, რომ ჩილეს სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავით იგი ოთხშაბათს მიიყვანეს თავისი ქმრის დაკრძალვაზე ქალაქ-ნავსადგურ ვინია-დელ-მარში სანტა-ინესის სასაფლაოზე.

— თვითმფრინავში რომ შევედი, დავინახე კუბო, რომელსაც სამხედრო საბანი ჰქონდა გადაფარებული, — განაგრძო სენიორა ალიენდემ. — მე ნებართვა ვითხოვე დამეხედა განსვენებული ქმრისათვის, მაგრამ ადამიანებმა, რომლებიც მომყვებოდნენ, ნება არ მომცეს. მითხრეს, კუბო დარჩილულიაო. მე მოვითხოვდი, რომ ნება მოეცათ დამეხედა ცხედრისათვის. მაგრამ უშედეგოდ, როცა მაინც ახსნეს სახურავი, მე შევძელი მხოლოდ ზეწარი დამენახა. საოჯახო აკლდამაში დაკრძალვის დროს ოფიცრებმა კვლავ ნება არ დართეს აეხსნათ კუბო, ისევ განაცხადეს, დარჩილულიაო. რამდენიმე ყვავილი ავიღე, ჩავაგდე ისინი აკლდამაში და ვთქვი: „აქ ჩვენ ვტოვებთ სალვადორ ალიენდეს — რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომლის უკანასკნელ გზაზე გაცილების ნება მის ოჯახსაც კი არ მისცეს".

(„პრავდა" 17 IX).

ფარი. ამ ბოლო დღეებში ისინი ცხოვრობდნენ სანტიაგოში, მექსიკის საელჩოში.

სანტიაგო, 17 სექტემბერი. საქდესის კორესპონდენტი რ. კნიაზევი გვატყობინებს:

ჩილეს კათოლიკური უნივერსიტეტის სატელევიზიო არხით გადასცეს დაწვრილებითი რეპორტაჟი ჩხრეკა-დაპატიმრებებზე, რომლებსაც სამხედრო ხუნტა აწყობს ქალაქებში სანტიაგოსა და კონსეფსიონში. ამ ოპერაციების დროს დედაქალაქის ერთ-ერთ მუშათა რაიონში, როგორც ტელერეპორტაჟში უჩვენეს, გამოიყენეს ბევრი ტანკი.

დედაქალაქში კვლავ მოქმედებს კომენდანტის საათი, რომელიც დღეღამეში მხოლოდ რვა-ნახევარი საათით უქმდება. სამხედრო რეჟიმის მიერ გამოცემული № 32 ბრძანება იუწყება, რომ „მთავრობის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი პროპაგანდის" გავრცელებაში მხილებულ ყველა პირს დასჯიან ომის დროის კანონების შესაბამისად. ფურცლებში, რომლებსაც სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენები ავრცელებენ, ნათქვამია, რომ შეიარაღებული ძალები და კარაბინერები „უყოყმანოდ, დაუყოვნებლივ დახვრეტენ ყველას, ვინც თავს დაესხმება ჯარისკაცებს ან ექნება იარაღი".

როგორც გაზეთები „მერკურიო" და „ტერსერა დე ლა ორა" იუწყებიან, ქალაქ ვალპარაისოში შემოღებულია მუდმივი კომენდანტის საათი. ს. ალიენდეს მთავრობის მთელი რიგი დაპატიმრებული მოღვაწენი წაიყვანეს ალექსანდრ-სელკირკის კუნძულზე, რომელიც ხუან-ფერნანდესის არქიპელაგში შედის.



ჩილე. სანტიაგოში იწვის პრეზიდენტის სასახლე „ლა მონედა".

იუპი-საქდესის ტელეფოტო.

## ორტენსია ალიენდე: ჩილელი ხალხი გაიმარჯვებს!

მეხიკო, 17 სექტემბერი. (საქდესი). „მე მინდა, რომ მსოფლიოს ყველა ხალხმა იცოდეს ჩილეს სისხლიანი ამბები", — განაცხადა ჩილეს პრეზიდენტის ქვრივმა ორტენსია ბუსი დე ალიენდემ, რომელიც გუშინ ჩამოვიდა აქ მექსიკის ავიაკომპანიის თვითმფრინავით.

აეროპორტში ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე მან გადაჭრით დაგმო შეთქმულთა მოქმედება, აღნიშნა, რომ „სამხედრო ხუნტამ დანერგა ტერორისა და ძალმომრეობის რეჟიმი, გააუქმა დემოკრატიული თავისუფლებანი და დევნის ასიათასობით პატიოსან ჩილელს".

მაგრამ სოციალიზმის იდეები ჩილეში უძლეველია, ხაზი გაუსვა ორტენსია ალიენდემ. ქვეყანაში არ გამქრალა სამხედრო ხუნტისადმი, წინააღმდეგობის კერები. ის, რაც მოხდა, დროებითი დამარცხებაა, და ადრე, თუ გვიან ჩილელი ხალხი გაიმარჯვებს.

სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩილელ ხალხს საერთაშორისო მხარდაჭერის იმედი აქვს, თქვა ორტენსია ალიენდემ. ჩვენ ველით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაგმობს რეპრესიებს, რომლებსაც ჩილელ პატრიოტთა წინააღმდეგ მიმართავენ.

პრეზიდენტ ალიენდეს ქვრივმა დიდი მადლობა გადაუხადა მექსიკის ხალხსა და მთავრობას ჩილელი ხალხის ბრძოლასთან სოლიდარობისათვის.

## პლანეტა სოლიდარობას უცხადებს ჩილელ ხალხს

სამხედრო გადატრიალება ჩილეში და სამხედრო ხუნტის სისხლიანი ბოროტმოქმედება საერთაშორისო საზოგადოებრიობის მზარდ აღშფოთებას იწვევს. ჩილეს რეაქციის დანაშაულებრივ მოქმედებას გმობენ თვალსაჩინო სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწენი, კომუნისტური და სოციალისტური პარტიები. აგრეთვე სხვა ავტორიტეტიანი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ბევრ ქვეყანაში იმართება ჩილელ ხალხთან სოლიდარობის მასობრივი მიტინგები.

ბუდაპეშტი. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით გმობს კონტრრევოლუციურ სამხედრო ამბოხებას ჩილეში, ხაზგასმულია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში. თვითეული უნგრელი კომუნისტი, მთელი უნგრელი ხალხი აღშფოთებულია სახალხო ერთიანობის კანონიერი მთავრობის ძალადური დამხობით, პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს მკვლელობით, ჩილელი ხალხის მიერ მოპოვებული დემოკრატიული თავისუფლებების ფეხქვეშ გათელვით.

სოფია. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები მზარდი აღშფოთებითა და დიდი გულისწყრომით აღიქვამენ ცნობებს ჩილეში სამხედრო გადატრიალების შესახებ, სახალხო ერთიანობის მთავრობის, ჩილეს მუშათა კლასისა და პატრიოტების წინააღმდეგ ქვეყანაში გაჩაღებული რეპრესიების შესახებ, ნათქვამია ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში. მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს, რომ შინაური რეაქცია და მასთან დაკავშირებული იმპერიალისტური მონოპოლიები დაადგნენ ძალადობისა და ჩილელი ხალხის საუკეთესო შვილების ჟლეტის გზას.

პრაღა. ჩილეში ანტიკონსტიტუციური, ძალადური გადატრიალების ზურგს უკან დგანან იმპერიალისტური მონოპოლიები, რომლებსაც სურთ განაგრძონ ამ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა ძარცვა, ჩილელი ხალხის ექსპლოატაცია, სურთ შეინარჩუნონ ჩილეს ბურჟუაზიის კლასობრივი პრივილეგიები, აღნიშნულია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის განცხადებაში. პრეზიდენტი ალიენდე, რომელიც ერთ-ერთი პირველი ემსხვერპლა რეაქციის ტერორს, იყო ჩილელი ხალხის გამოჩენილი შვილი, ხალხთა თავისუფლების, დემოკრატიის, პროგრესის, სოციალიზმის იდეების ერთგული მიმდევარი.

ოტავა. ჩილეში სამხედრო გადატრიალებასთან დაკავშირებით კანადის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა კანადელ მშრომელებს მიმართა განცხადებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჩილეში მომხდარი ამბები ცხადყოფენ, რამდენად ღრმად შეუძლიათ შეტოპონ მემარჯვენე რეაქციულ და ფაშისტურ დაჯგუფებებს, როცა სურთ ძირი გამოუთხარონ დემოკრატიას და თავს მოახვიონ ხალხს სამხედრო დიქტატურა.

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ათიათასობით მცხოვრები მონაწილეობდა ჩილელ ხალხთან სოლიდარობის მიტინგში, რომელსაც დაესწრნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ერიხ ჰონეკერი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კურტ ჰაგერმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩილეს სამხედრო ამბოხება იმპერიალიზმის შეთქმულებაა თავისუფლებისა და პროგრესის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ.

ჰელსინკი. ქალაქ ტურკუს უნივერსიტეტში გამოსვლისას ფინეთის პრეზიდენტმა უ. კეკონენმა ჩილეში მომხდარ ამბებს ტრაგიკული უწოდა. მან აღნიშნა, რომ 1970 წელს პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ მიიღო თავისი ხალხის მანდატი, რომ გადაექცია ჩილე სოციალისტურ სახელმწიფოდ. ალიენდე პირობას იძლეოდა, რომ დაიცავდა ქვეყნის კონსტიტუციას, რასაც ბოლომდე ასრულებდა. მაგრამ მისი მოწინააღმდეგენი არ იყვნენ კონსტიტუციისადმი ესოდენ ლოიალურნი.

ბუენოს-აირესი. მთავრობის დეკრეტით არგენტინაში გამოცხადებულია სამი დღის გლოვა რეაქციული სამხედრო ამბოხების დროს ჩილეს პრეზიდენტის სალვადორ ალიენდეს დაღუპვის გამო. არგენტინის საზოგადოებრიობა, ქვეყნის პოლიტიკური და პროფკავშირული ორგანიზაციები სოლიდარობას უცხადებენ ჩილელ ხალხს, რომელიც რეპრესიებსა და დევნას განიცდის. (საქდესი).

## სულითა და გულით ჩილელ ხალხთან ვართ!

კიევი. უკრაინის დედაქალაქის მშრომელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, გულისწყრომითა და აღშფოთებით შეიტყვეს, რომ ჩილეში სამხედრო გადატრიალება მოხდა სახალხო ერთიანობის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. რეაქციული მხედრიონის დანაშაულებრივი მოქმედება, ხალხის მიერ არჩეული მთავრობის წევრების, მშრომელთა პროგრესული ორგანიზაციების მოღვაწეთა დაპატიმრება დაგმო „წითელი ექსკავატორის" ქარხნის კოლექტივმა ჩილელ ხალხთან სოლიდარობის მიტინგზე.

შეკრებილებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გულისწყრომით დაგმეს ჩილეს რეაქციის მოქმედება და მთლიანად დაუჭირეს მხარი ჩილელ მშრომელებს.

ჩილელ ხალხთან სოლიდარობის მიტინგები გაიმართა აგრეთვე ქარხანა „არსენალსა" და კიევის სხვა საწარმოებში.

დუშანბე. მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა აღშფოთებულია ჩილეს რეაქციის მოქმედებით, განაცხადა საკაბელო წარმოების ამდიდავმა ჰატამ ძენჯაევმა ჩილეში სამხედრო გადატრიალების წინააღმდეგ ქარხანა „ტაჯიკკაბელში" გამართულ საპროტესტო მიტინგზე.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილეებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ვერავითარი რეპრესიები, ვერავითარი ტერორი ვერ გატეხს ჩილელი ხალხის ნებისყოფას.

კოვროვი (ვლადიმირის ოლქი). ჩილეს რეაქციის თარეშის წინააღმდეგ ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები გაიმართა კოვროვის დეგტიარიოვის სახელობის ქარხნის საამქროებში.

ჩილელ ხალხთან სოლიდარობის მიტინგები გაიმართა აგრეთვე ვლადიმირის, მურომისა და ამ ოლქის სხვა ქალაქების ბევრ საწარმოში.

კიშინიოვი. მოლდავეთის მშრომელები ერთსულოვნად გმობენ ძალადობას ჩილეში. კიშინიოვის სატრიკოტაჟო ფირმა „სტიაუა როშიეში" გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა ბრიგადირმა ნ. პასკარმა.

— მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, — განაცხადა მან, — მხარს ვუჭერთ და ვიწონებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განცხადებას, რომელშიც მოცემულია ჩილეში მომხდარი ამბების კლასობრივი შეფასება. სამარცხვინო ბოძზე ვაკრავთ სამხედრო ხუნტას და სოლიდარობას ვუცხადებთ ჩილელი ხალხის ბრძოლას დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობისათვის! ჩილელი ხალხი მოიპოვებს თავისუფლებას!



მსოფლიოს პროგრესული ძალები გადაჭრით გმობენ რეაქციას, რომელმაც სამხედრო ამბოხება მოახდინა ჩილეს კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ და ჩილელი ხალხისადმი ძმურ სოლიდარობას გამოთქვამენ. სურათზე: ჩილეს ხალხთან სოლიდარობის დემონსტრაცია რომში.

იუპი-საქდესის ტელეფოტო.

## „სკაილების" ეკიპაჟი: ფრენის შვიდი კვირა

ნიუ-იორკი. 17 სექტემბერი (საქდესი). შვიდი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც მეორე ეკიპაჟი იმყოფება „სკაილების" კოსმოსურ ორბიტულ სადგურში. ამასთან დაკავშირებით ფრენის ხელმძღვანელები იუწყებიან, რომ კოსმონავტებმა გადაჭარბებით შეასრულეს დაგეგმილი პროგრამების უმრავლესობა, და აღნიშნავენ, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანია შესრულებული გამოკვლევები.

მეცნიერებს, კერძოდ, მიაჩნიათ, რომ ფრენის შედეგად მიღებული სამედიცინო მონაცემები — უწონობის პირობებში ადამიანის ხანგრძლივი ყოფნის შესაძლებლობათა შესახებ, მომავალში საფუძვლად დაედება კიდევ უფრო ხანგრძლივი ფრენის დაგეგმვას.

კოსმონავტები იმდენად გაიტაცა მუშაობამ, რომ მეექვსე კვირა დღე გადის, რაც უარს ამბობენ დასვენებაზე, რომელიც მათ პროგრამის მიხედვით ეკუთვნით, კვირა დღე კოსმოსურ ლაბორატორიაში დანარჩენი დღეებისაგან მხოლოდ იმით გამოირჩევა, რომ კოსმონავტები რამდენადმე ჩვეულებრივზე გვიან დგებიან, „საღამოთი" კი იღებენ თბილ შხაპს.

ახლა კოსმონავტები განაგრძობენ სამედიცინო ექსპერიმენტებს, მზეზე დაკვირვებას და დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევას. კერძოდ, ეკიპაჟი სწავლობდა მავნებლებით დაზიანებულ ნათესებს მდინარე რიდგრანდეს ხეობაში, ჭაერის გაჭუჭყიანებას კალიფორნიაში, ტექტონიკურ ბზარებს ინდიანაში.

სამივე კოსმონავტი ფრენის დროს გახდა კოსმოსში ხანგრძლივი ყოფნის რეკორდსმენი. მათი მეთაური ა. ბინი, რომელიც ადრე მონაწილეობდა მთვარეზე გაფრენაში, „აბსოლუტური ჩემპიონია". სადგურში მეორე ეკიპაჟის ყოფნის გაანგარიშებული ვადის დამთავრებისათვის მისი „კოსმოსური დრო" 69 დღე-ღამესა და 15 საათს მიაღწევს.

ემზადებიან რა დედამიწაზე დასაბრუნებლად, კოსმონავტებმა რამდენადმე შეცვალეს დღის რეჟიმი, რათა 25 სექტემბერს, „სკაილებიდან" სტარტის დღეს, საკმარისად ადრე ადგნენ და მოასწრონ ყველა საჭირო ოპერაციის შესრულება.

დედამიწაზე კოსმონავტმა დუბლიორმა ვ. ბრანდმა დაიწყო ხომალდ „აპოლონის" მანევრების დახვეწა. ეს მანევრები ჩვეულებრივისაგან განსხვავდებიან იმის გამო, რომ ხომალდზე, რომელმაც „სკაილების" ეკიპაჟი დედამიწაზე უნდა ჩამოიყვანოს, დამხმარე ძრავების ოთხი ბლოკიდან მხოლოდ ორია წესრიგში.

## გაზრობის წარმატება

პრაღა, 17 სექტემბერი. (საქდესი) ბრნოში დაიხურა XV საერთაშორისო მანქანათმშენებლობის ბაზრობა.

ბაზრობის ერთ-ერთი უდიდესი მონაწილე იყო საბჭოთა კავშირი, რომლის საგამოფენო ფართობი შეადგენდა 2.300 კვადრატულ მეტრს. 200 საბჭოთა საწარმომ აქ წარმოადგინა ორი ათასი ექსპონატი, რომელთაგან ორ მესამედზე მეტი სრულიად ახალია.

საზღვარგარეთის საგარეო-სავაჭრო გაერთიანებებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ბრნოში წარმოდგენილი საბჭოთა მრეწველობის პროდუქციისადმი.

ბაზრობამ მარტო უდავო კომერციული წარმატება როდი მოგვიტანა, მისი მთავარი შედეგია მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერაციის შემდგომ განვითარებაში, სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის განხორციელებაში შეტანილი წვლილი.

## გარემოს დაცვის მიზნით

რომი, 17 სექტემბერი. (საქდესი). იტალიაში სამრეწველო ნარჩენების ხოლოდ 5 პროცენტი იწმინდება სპეციალურად, განაცხადა უპორტფელო მინისტრმა, ა. კორონამ, რომელიც განაგებს გარემოს დაცვის საკითხებს, ყოველკვირეულ „ტემპოსათვის" მიცემულ ინტერვიუში. თითქმის 8 ათასი კომუნიდან მხოლოდ 32-შია სპეციალური საწმენდი ნაგებობანი. ქოლერით დაავადება იტალიაში, ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა, გარემოს გაჭუჭყიანების შედეგია.

სამრეწველო ნარჩენების ჩაშვებამ იონიის ზღვაში ქალაქების სირაკუზისა და ტაორმინის რაიონში იმდენად ძლიერად გააჭუჭყიანა ზღვის წყალი, რომ ადგილობრივი სასამართლოს ხელისუფალნი იძულებული არიან დაიწყონ გამოძიება ნავთობქიმიური კომპანიების „სინკატის", „რასიომისა" და „ლიკვიკიმიკის" წინააღმდეგ, რომლებსაც ბრალად ედებათ გარემოს გაჭუჭყიანება.

## კონსტიტუცია და ფაქტები

ანკარა, 17 სექტემბერი. (საქდესი). „ჩვენი მოქალაქეების 50 პროცენტმა არ იცის წერა-კითხვა. ამჟამად თურქეთის 6.000 სოფელში არ არის სკოლები", — განაცხადა თურქეთის დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა საზოგადოების გენერალურმა თავმჯდომარემ მამედ კორუჯომ დაწყებითი განათლების კვირეულის გამო, რომელიც ახლა მიმდინარეობს თურქეთში. მან აგრეთვე თქვა, რომ ქვეყნის ასიათასობით ბავშვმა არ იცის, რა არის სკოლა, სასკოლო სახელმძღვანელოები ძვირია და არც ყოფნით. უბრალო ხალხის შვილები ვერ იხდიან აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ქირას, ეს მხოლოდ შეძლებული მშობლების შვილებს შეუძლიათ.

ასეთი მდგომარეობა, ხაზი გაუსვა მ. კორუჯომ, ლიტონ სიტყვად აქცევს ქვეყნის კონსტიტუციაში ჩაწერილ დებულებას „განათლების დარგში თანაბარ შესაძლებლობათა შესახებ".

## დაიღუპნენ გზებზე

თეირანი, 17 სექტემბერი. (საქდესი). მარტო თეირანში შარშან საავტომობილო ავარიათა შედეგად დაიღუპა 375 და სეიოზულად დაშავდა 5.161 კაცი. ეს განაცხადა თეირანის ავტოსაგზაო პოლიციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ნაკლებად სავალალო სურათი როდია ირანის გზებზე მიმდინარე წელსაც: უკანასკნელი ოთხი დღის განმავლობაში საავტომობილო კატასტროფათა შედეგად დაიღუპა 38 და მძიმედ დაშავდა 25 კაცი.

## უდიდესი ზარალი

დელი, (საქდესი). წყალდიდობამ უდიდესი ზარალი მიაყენა ჩრდილოეთ ინდოეთის შტატებს. მარტო ერთ მადჰიაპრადეშის შტატში წყალდიდობის შედეგად თითქმის 60 ათასი კაცი უსახლკაროდ დარჩა, დაზარალდა 2 ათასი სოფელი, დაწყდა 90 ათასი სული საქონელი. წყალდიდობამ მნიშვნელოვნად დააზიანა აგრეთვე გუჯარათისა და რაჯასტჰანის შტატები. ინდოეთის საგეგმო კომისიის შეფასებით, ცენტრალურ მთავრობას დასჭირდება მნიშვნელოვანი სახსრების გაღება, რათა აღმოფხვრას წყალდიდობის შედეგები ინდოეთის ჩრდილოეთ შტატებში. ამას წერს დღეს გაზეთი „პეტრიოტი".

# დიდმნიშვნელოვანი ამოცანა



ნიუ-იორკი, 17 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 28-ე სესია, რომელიც ხვალ იხსნება აქ, მოწვეულია იმ პერიოდში, როცა მიმდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობის ძირეული გარდაქმნა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე. ეს თვისებრივად ახალი ატმოსფერო, რომელიც უწინარეს ყოვლისა საბჭოთა სამშვიდობო პროგრამის მიზანსწრაფული განხორციელების მეოხებით შეიქმნა, გარდუვალად დადებითს კვალს დააჩნევს სესიის მთელ მსვლელობას.

უკვე პირველ დღეს უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიიღებენ ორ გერმანულ სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას.

სესიის წინასწარ დღის წესრიგში ასზე მეტი სხვადასხვა საკითხია, რომელთა გარშემო დაძაბული ბრძოლა გაჩაღდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 132 წევრს შორის არიან ძალები, რომლებსაც სურთ ორგანიზაციამ თავის საქმიანობაში გვერდი აუაროს პოლიტიკურ საკითხებს და მთავარი ყურადღება დაუთმოს ისეთი პრობლემების გადაწყვეტას, როგორიცაა მოსახლეობის ზრდა, გარემოს დაცვა, ბრძოლა ნარკოტიკების კონტრაბანდის წინააღმდეგ და სხვ. მშვიდობის საქმისათვის ხელსაყრელი ძვრები, რომლებიც შეიმჩნევა ევროპაში და სხვა კონტინენტებზე, არავითარ საფუძველს არ იძლევიან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ხელი აეღებინონ მთავარი როლის შესრულებაზე — კაცობრიობისათვის მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებაზე. მსოფლიოს ხალხები მხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებას ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ რომელიც დაიდო შეერთებულ შტატებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ივნისის ვიზიტის დროს.

ვერ შევურიგდებით იმას, რომ ისრაელის 1967 წლის აგრესიიდან ექვსი წლის შემდეგ ახლო აღმოსავლეთი კვლავ ომის საფრთხის მთავარი კერაა, ტელ-ავივის უკანასკნელი პროვოკაციული მოქმედება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციათა აშკარა უგულებელყოფა აძლიერებს ისრაელის იზოლაციას. მორალური იზოლაციის ატმოსფეროში, რომელშიც ისრაელი აგრესორები აღმოჩნდნენ, გენერალური ასამბლეის XXVIII სესიას რეალური შესაძლებლობანი აქვს გამოიყენოს თავისი პოტენციალი იმისათვის, რომ აიძულოს ტელ-ავივი ანგარიში უწიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს.

კაცობრიობას უფლება აქვს აგრეთვე მოელოდეს, რომ ასეთ წარმომადგენლობითი საერთაშორისო ფორუმი მიიღებს რადიკალურ ღონისძიებებს პორტუგალიელი კოლონიზატორების, პრეტორიის და სოლსბერის რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ.

იმპერიალიზმის, რასიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში ყოველწლიურად ფართოვდება თანამშრომლობა საერთაშორისო ასპარეზზე, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სსრ კავშირს, სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებსა და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ახალგაზრდა განვითარებად სახელმწიფოებს შორის.

შეუვალი უნდა იყოს ხალხთა უფლება განაგებდეს თავის ბედს, ამკვიდრებდეს ისეთ საზოგადოებრივ წყობილებას და ირჩევდეს გამგებლობის ისეთ ფორმას, როგორიც საჭიროდ მიაჩნია, და სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების მოქმედებისა და მისწრაფების ერთიანობის განმტკიცება ამ უფლების უზრუნველყოფის უტყუარი გზაა.

სოციალისტურ სახელმწიფოებსა და „მესამე სამყაროს" ქვეყნებს აქვთ მეტად ფართო საერთო საფუძველი იმისთვისაც, რომ გამოიჩინონ ერთობლივი ინიციატივები განიარაღების საქმეში. შემთხვევითი არ არის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVIII სესიაზე საბჭოთა კავშირის წინადადებას განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის შესახებ მხარი დაუჭირეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა დიდმა უმრავლესობამ, და უწინარეს ყოვლისა განვითარებადმა ქვეყნებმა. სამწუხაროდ, ზოგი ვინმე დასავლეთში, აგრეთვე პეკინში ყოველნაირად აფერხებს პრაქტიკულ მზადებას მსოფლიო კონფერენციის მოსაწყობად. სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე პირველი დიდმნიშვნელოვანი და კონკრეტული ნაბიჯები გადადგეს გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხის შესუსტების გზაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს — დიდსა და პატარას — შეუძლია და კიდევაც უნდა დაუჭიროს მხარი XXVIII სესიაზე ამ დამაიმედებელ ტენდენციას, თავისი წვლილი შეიტანოს საყოველთაო უშიშროების უზრუნველყოფაში.

უცხოეთის ამბები

## თეატრი

# სეზონი დაიწყო პრემიერით

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა თავისი ახალი, ორმოცდაამეექვსე სეზონი გახსნა პრემიერით. ეს იყო ალექსანდრე ოსტროვსკის კომედია „ტალანტები და თაყვანისმცემლები".

სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ და უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა დიმიტრი ალექსიძემ, მხატვრულად გააფორმა მ. მალაზონიამ, მუსიკა სპექტაკლისათვის შექმნეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ო. თაქთაქიშვილმა და შ. მილაგაძემ, ქორეოგრაფია — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. ზარეცკი.

სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები მ. თბილელი, კ. მახარაძე, ი. ტრიპოლსკი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ს. ჭიაურელი, დ. ჭიჭინაძე, ზ. ლაფერაძე, ვ. ცხვარიაშვილი, თ. არჩვაძე, მ. მებურიშვილი, გ. ციცქიშვილი, დ. ოქროსცვარიძე, მსახიობები გ. თოდაძე, ნ. გოდერძიშვილი, ლ. მაჭავარიანი, შ. მშვენიერაძე.

პრემიერის შემდეგ რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ გვითხრა, თუ როგორ იქმნებოდა ეს სპექტაკლი. თავდაპირველად, რაღა თქმა უნდა, — თქვა დ. ალექსიძემ — ჩვენი მიზანი იყო გამოვხმაურებოდით დიდი რუსი დრამატურგის ალექსანდრე ოსტროვსკის დაბადების 150 წლისთავს და, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ჭეშმარიტ შემოქმედებასთან შეხების შედეგად, ნაწარმოებმა მთელი საშემსრულებლო დასი დააინტერესა და გაიტაცა. უწინარეს ყოვლისა სპექტაკლში „ტალანტები და თაყვანისმცემლები" ჩვენს წინაშე დღევანდელი დღისთვის აქტუალური პრობლემა გამოიკვეთა — პრობლემა მსახიობისა და მაყურებლის ურთიერთდამოკიდებულებისა. ხუთი თვის მუშაობამ მსახიობებს ბევრი სიხარული მოუტანა, სიხარული შემოქმედებითი გამარჯვებისა. ოსტროვსკის ურთულესი, ღრმა და შინაარსიანი დრამატურგია ასეთი მახლობელი გახდა დღევანდელი დღისათვის. ამასთან ერთად მსახიობები გრძნობდნენ, რომ მწერლის ღირსშესანიშნავ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის ბევრი თეატრი განახორციელებდა ოსტროვსკის ნაწარმოებებს. ამანაც გამოიწვია შეჯიბრების ერთგვარი აზარტი. საბოლოო სიტყვა, რა თქმა უნდა, მაყურებელსა და კრიტიკას ეკუთვნის, მაგრამ, ვფიქრობ, მსახიობები ქების ღირსნი არიან... მათ წინაშე რთული ამოცანა იდგა. ოსტროვსკის დრამატურგიას საქართველოში ხომ საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი ტრადიციები აქვს. საკმარისია გავიხსენოთ თვით დრამატურგის სტუმრობა თბილისში. მაშინ მისთვის საგანგებოდ უჩვენებიათ მისივე კომედიის „შემოსავლიანი ადგილის" ერთი აქტი. სტუმარი თურმე, გულისყურით უცქერდა ქართველ მსახიობებს და მათი თამაშით აღფრთოვანებული დარჩენილა. ყველაფერმა ზემოთქმულმა საშემსრულებლო დასის ენთუზიაზმი გააორკეცა. ჩვენი მიზანი იყო შეგვექმნა ანსამბლი, რადგან კარგად ვიცით, რომ ერთი მსახიობის თეატრი კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა. პრემიერის წარმატებამ დაგვაიმედა და სიამოვნებით ველით მაყურებელს.

# ხელოვნების დიდ გზებზე

## „სალხინოს" — „უნიტას" მადლობა

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საქ. კორ.). ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალხინო" იტალიაში იმყოფებოდა, სადაც მონაწილეობდა კომუნისტური გაზეთ „უნიტას" ტრადიციულ ფესტივალში. ქართველმა მომღერლებმა და მოცეკვავეებმა ფესტივალზე დიდი მოწონება დაიმსახურეს. გაზეთებმა საკმაოდ ბევრი დაწერეს ამის შესახებ.

ამ დღეებში რუსთავში მოვიდა წერილი, რომელშიც გამოთქმულია დიდი მადლობა ანსამბლ „სალხინოს" კოლექტივისადმი.

აი რა არის ნათქვამი წერილში:

„...ეს იყო ძალიან დიდი დახმარება ჩვენს მუშაობაში... ამ ანსამბლის მაღალმა არტისტულმა დონემ შესაძლებელი გახადა გამოგვეყვანა ისინი ტურინის ერთ-ერთ ყველაზე დიდ თეატრში — რეჯოში. საჭიროა აღინიშნოს, რომ რუსთაველი არტისტები მაყურებლის წინაშე გამოვიდნენ დიდი მონდომებითა და მგზნებარებით. მათი კონცერტები წარმატებით გაიმართა ისეთ ადგილებში, სადაც ჩვენ საერთოდ გვიჭირს ღონისძიებების განხორციელება. რუსთაველ არტისტებს ყველგან გულთბილად იღებდნენ ადგილობრივი ხელმძღვანელები; მათ ივაციებს უმართავდნენ და მიესალმებოდნენ მშრომელები, მოქალაქენი ყველგან, სადაც კი ისინი გამოჩნდებოდნენ ხოლმე..."

# „დიელო"—ინდოეთში

ᲓᲔᲚᲘ, 17 სექტემბერი. (საქდესი). „საბჭოთა მსახიობების ბრწყინვალე კონცერტი" — ასეთი სათაურით ინდოეთის გავლენიანმა გაზეთმა „ტაიმს ოფ ინდიამ" დღეს დაბეჭდა აღფრთოვანებული გამოხმაურება ინდოეთის დედაქალაქში მოკავშირე რესპუბლიკების მსახიობთა ჯგუფის, მათ შორის საქართველოს სსრ ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „დიელოს" გამოსვლის შესახებ. სსრ კავშირის ხალხთა სიმღერების შესრულების ოსტატობით საბჭოთა მსახიობებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს მაყურებლებზე, — აღნიშნავს გაზეთი.

სსრ კავშირის ხელოვნების წარმომადგენელთა გამოსვლა, ხაზს უსვამს დასასრულ „ტაიმს ოფ ინდია", ინდოეთის საზოგადოებას არა მარტო აცნობს საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურას, არამედ აგრეთვე ხელს უწყობს ორი ხალხის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

## ტბა მთაში



ᲠᲘᲬᲘᲡ ᲢᲑᲐ — კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ტბათაგანი, მდებარეობს კურორტ გაგრიდან 60 კილომეტრის დაშორებით. ტურისტების თვალწინ იშლება ჯადოსნური რიწის ტბის ზურმუხტისფერი ზედაპირი.
გ. პიკვაძისა და ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



# ლაღი ბავშვობა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲧᲝᲕᲔᲚ დილით ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში ბავშვების წკრიალა ხმები გაისმის. 113 ათასზე მეტი პატარა მოვიდა 1497 საბავშვო ბაღსა და ბაგა-ბაღში, სადაც შექმნილია ყველა პირობა დასვენებისა და მეცადინეობისათვის. მზრუნველობითა და ალერსით გარემოსილი არიან ბავშვები სკოლამდელ დაწესებულებებში.

სიხარულით შეხვდნენ 250 თავის აღსაზრდელს თბილისის № 53 საბავშვო ბაღის აღმზრდელები. აქ ბავშვების განკარგულებაშია 12 სასწავლო ოთახი, მუსიკალური დარბაზი, რუსული ენისა და ინგლისური ენის კაბინეტები, სამედიცინო პუნქტი.

საბავშვო ბაღის ვრცელი ეზო გამწვანებული და კეთილმოწყობილია. იგი გადაქცეულია სათამაშო მოედნად ბავშვებისათვის.

ეს სკოლამდელი დაწესებულება წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე გახდება.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნივ — პედაგოგი-აღმზრდელი მზია ნერსესოვა სიხარულით ეგებება თავის აღსაზრდელებს; მარჯვნივ — № 53 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები.

ს. თევზაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## დანაშაული და სასჯელი

# სასამართლო მოდის...

## საქმეს განიხილავს გამსვლელი სხდომა

ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ამ კლუბში არც კინოფილმს უჩვენებენ და არც რაიმე სანახაობითი წარმოდგენის საცქერლად არის ხალხი შეკრებილი. ეს ხალხმრავლობა სულ სხვა მიზანს ემსახურება და სამწუხარო მოვლენასთან არის დაკავშირებული. აქ პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს გამსვლელი სხდომა განიხილავს თბილისის მესამე წისქვილკომბინატის თანამშრომლის მიერ ჩადენილ დანაშაულს. საბრალდებულო სკამზე ორნი სხედან: წისქვილკომბინატის მზა პროდუქციის საწყობის გამგე ვლადიმერ ქიტუაშვილი და თეთრი წყაროს რაიკოოპკავშირის ავტომანქანის მძღოლი დიმიტრი ნადირაძე.

დარბაზი კომბინატის მუშა-მოსამსახურეებით არის სავსე, დამნაშავენი თავჩაქინდრულნი სხედან, განსაკუთრებით ქიტუაშვილი ვეღარ უსწორებს თვალს თავის ამხანაგებს, იმათ, ვინც მის გვერდით შრომობდა და ყოველ დილით კეთილ სალამს აძლევდა მას. არც დარბაზში მყოფნი არიან კარგ გუნებაზე — ეს დანაშაული ხომ დღისით მზისით მათ თვალწინ მოხდა.

და აი ისინი ისმენენ პროცესზე ახლა უკვე ყოფილი თანამშრომლის ქიტუაშვილის და მისი თანამონაწილის ნადირაძის ჩვენებებს, სასამართლოს მთელ მსვლელობას, საზოგადოებრივი ბრალმდებლის, მოწმეების ნაამბობს...

მიმდინარე წლის 6 თებერვალს დაბა მანგლისის მუშათა კოოპერატივის დავალებით ფქვილის წასაღებად წისქვილკომბინატში ავტომანქანით მოვიდა დ. ნადირაძე. დამნაშავეებმა წინასწარ მოლაპარაკების თანახმად 60-ის ნაცვლად მანქანაში 76 ტომარა ფქვილი ჩატვირთეს. აქედან 16 ტომარა, რაც 1120 კილოგრამს შეადგენდა, როგორც იტყვიან „მარცხენა" საქონელი იყო. დანაშაულებრივი შეთანხმების მიხედვით თვითეულ ტომარა ფქვილში ნადირაძემ ქიტუაშვილს 15 მანეთი გადაუხადა.

და ნაპარავი ქონებით დატვირთული მანქანა არხეინად გასცდა წისქვილკომბინატის ჭიშკარს, გზას გაუდგა მანგლისისაკენ. მაგრამ ქალაქიდან გასვლისას ბაგების მიდამოებში მანქანა მილიციის მუშაკებმა დააკავეს. დანაშაული აშკარა იყო. იმავე დღეს საწყობის გამგე ქიტუაშვილს სამსახურში აღმოაჩნდა 1455 მანეთი თანხა, საწყობის აღწერის შედეგად 1430 კილოგრამი ფქვილის დანაკლისი გამოვლინდა.

ასე შეიქმნა დანაშაულებრივი საქმე, რომელიც იმავე კოლექტივში განიხილეს, სადაც იგი ჩადენილ იქნა. ბრალდებულებმა მთელი კოლექტივის წინაშე თავი დამნაშავედ ცნეს. განაჩენით ვ. ქიტუაშვილს შეეფარდა ხუთი, ხოლო დ. ნადირაძეს ოთხნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

არასოდეს არ დაავიწყდებათ წისქვილკომბინატის მშრომელებს ეს ნაღვლიანი დღე, როცა თავიანთი კლუბიდან, სადაც ხშირად სიამოვნება და გართობა მიუღიათ, შეძლშეკრულნი ბრუნდებოდნენ. ყველა განიცდიდა, ყველას სტკიოდა გული ამ სამწუხარო ამბის გამო.

უკანასკნელ ხანს სახალხო სასამართლოების გამსვლელი სხდომები უფრო გახშირდა, რითაც უაღრესად სასარგებლო საქმე კეთდება ადამიანების, შრომითი კოლექტივების სამართლებრივი აღზრდის თვალსაზრისით. ეს დანაშაულებათა პროფილაქტიკის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თავიდან აცილების მნიშვნელოვანი საშუალება გახდა. როგორც წესი, ასეთ პროცესებზე საზოგადოებრივ ბრალმდებლებად გამოდიან შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, მუშაკები იმ ორგანიზაციებისა, სადაც დანაშაული იქნა ჩადენილი. სწორედ ასეთი გამსვლელი სხდომა იყო მესამე წისქვილკომბინატში.

საგულისხმოა ის, რომ მარტო წელს პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ 47 საქმე გაარჩია გამსვლელ სხდომაზე ფართო საზოგადოებრიობის თანდასწრებით.

შესაძლებელია ზოგიერთი ჯერ კიდევ გამოუვლინებელი სპეკულანტი და ქორვაჭარი უსმენდა და უყურებდა ამავე რაიონის სახალხო სასამართლოს პროცესს, რომელიც საკოლმეურნეო ბაზრის კლუბში გაიმართა. აქ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სპეკულაციისათვის სამი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა სიმონ კრიხელს, რომელიც ადრე სამჯერ იყო ნასამართლევი და აქედან ორჯერ სპეკულაციისათვის. არ იქნა და ჭკუა მაინც ვერ ისწავლა ამ სპეკულანტმა, ამიტომაც მკაცრად დასაჯეს.

აქვე, ამავე ბაზრის კლუბში, დიდძალი ხალხის თანდასწრებით სასტიკად გაკიცხეს და გაასამართლეს 47 წლის გრიგოლ ტრეგუბოვი, კაცმა, რომელმაც ქურდბაცაცობა ვერ მოიშალა. მას მაშინ წაასწრეს მილიციის მუშაკებმა, როცა მოქალაქეს ჯიბიდან ფული ამოაცალა. მისი დაპატიმრების შემდეგ გაირკვა, რომ იგი ხუთჯერ არის ნასამართლევი, მაგრამ როგორც ჩანს, კუზიანი ისევ კუზიანად დარჩა და ამიტომაც მას ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებით.

ივლისის ბოლო რიცხვებში ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს გამსვლელი სხდომა რესტორან „იორის" შენობაში ჰქონდა. აქ რესტორნის მთელი კოლექტივის თანდასწრებით არჩევდნენ მებუფეტე სვეტლანა ლუკიანენკოს ბრალდების საქმეს. მან მომხმარებლებს 10 ბოთლ ლუდსა და 4 ბოთლ ლიმონათში 78 კაპიკი ზედმეტი გადაახდევინა. ერთი შეხედვით არც თუ ისე დიდი თანხაა, მაგრამ იგი ხომ დანაშაულია, საბჭოთა კანონების დარღვევაა, მშრომელი ადამიანის მოტყუებისა და აბუჩად აგდების ფაქტია. ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა, დამნაშავის ოჯახური და საერთო მდგომარეობის გათვალისწინების შედეგად სასამართლომ გამოიჩინა ჰუმანურობა და ლუკიანენკოს ერთი წლით გამასწორებელი მუშაობა ადგილზე მოხდით (იგი რესტორნის ადმინისტრაციამ დამლაგებლად ჩამოაქვეითა) და ხელფასიდან 15 პროცენტის დაქვითვა მიუსაჯა.

ჯერ კიდევ შვიდიოდე წლის წინათ ნოვოსიბირსკში სახალხო სასამართლომ ნიკოლოზ ტელიატინს მაწანწალობისა და ლოთობისათვის 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. შეაყარე კედელს ცერცვი, ეს მასზეა ზედგამოჭრილი. სასჯელი რომ მოიხადა და იქ აღარ დაედგომებოდა, უფრო თბილ მხარეს — ამიერკავკასიას მოაშურა. ჯერ აზერბაიჯანში, შემდეგ კი საქართველოს ქალაქებში მაწანწალობდა და ლოთობდა, სამუშაოს კი სათოფედ არ ეკარებოდა. მისი საყვარელი ადგილები რკინიგზის სადგურები იყო. და სწორედ თბილისის რკინიგზის სადგურის კლუბში გაასამართლეს ეს არამზადა.

სხვათა შორის, დარბაზში, სადაც ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს გამსვლელი სხდომა მიმდინარეობდა, დამნაშავესავით დარცხვენილი და შეშინებული, ცხვირწაწითლებული და თვალებდასიებული ორიოდე მისი მსგავსი იჯდა და უსმენდა პროცესს. შემდეგ კი, როცა საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა, მოწმეებმა, სასამართლოს მთელმა მსვლელობამ დამსწრეთა წინაშე ამხილეს ტელიატინის უმსგავსო საქციელი და განაჩენით მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა გამოუცხადეს, ჩუმად გაიკრიფნენ დარბაზიდან...

შესაძლებელია სასამართლოს გამსვლელმა სხდომამ ისინიც კი ჩააფიქრა...

ჩვენი საზოგადოების ფართო მოწონებით სარგებლობს დამნაშავეების, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევების გასამართლება და გაკიცხვა მშრომელთა მასების თვალწინ, სასამართლო პროცესების ისეთ ადგილებში მოწყობა, სადაც ბევრი ხალხი დაესწრება. პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლში გაასამართლეს, მაგალითად, ავტომობილების გამტაცებლები, უსაქმურები ა. ასლანიანი და ჟ. არუთინოვი, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კლუბში ფართო საზოგადოების თანდასწრებით საკადრისი სასჯელი მიეზღოთ შრომისა და წესრიგის თავისამრიდებლებს, ქურდებს გ. გრიგორიანსა და დ. ოვჩარუკს, რომლებმაც ამავე ქარხნის თანამშრომლის გ. არაქელიანის ბინა გაძარცვეს და ნაქურდალს ჩრდილოეთ კავკასიაში — ქალაქ უსტ-ლაბინსკში ასაღებდნენ.

მოვიყვანთ კიდევ ერთ ფაქტს. ბევრი ინჟინერი, ტექნიკოსი, მუშა ესწრებოდა თბილგვირაბმშენის სამშენებლო-სამონტაჟო მატარებელ 213-ის კლუბში გამართულ ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს გამსვლელ პროცესს, რომელიც განიხილავდა ამ ორგანიზაციის სამუშაოთა მწარმოებლის მიხეილ ამბოკაძის საქმეს.

რა დააშავა ამ მშენებელმა?

იგი ავჭალის მიდამოებში მილგაყვანილობის სამუშაოებს ხელმძღვანელობდა. ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვისადმი უყურადღებო დამოკიდებულებამ, მილების ჩასაწყობი თხრილების კედლების გამაგრების სამუშაოებისადმი არასერიოზულმა მიდგომამ გამოიწვია ის, რომ ჩამონგრეულმა ნიადაგმა სასიკვდილოდ დააშავა ადამიანი. სასამართლომ დამნაშავეს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა საგალდებულო შრომაში ჩაბმით.

აი, რა მოჰყვა ხელმძღვანელის დაუდევრობას, საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. ამ სხდომაზე მრავლად იყვნენ ადამიანები, რომლებსაც მუშაობა უხდებათ ამ დარგში და ისინი უთუოდ სათანადო დასკვნებს გამოიტანენ. ცხადია, სასამართლო პროცესმა ამ საწარმოს მრავალ მუშაკს თვალნათლივ დაანახვა უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაუცველობის სავალალო შედეგი. აქ საყურადღებოა ის, რომ სახალხო სასამართლოს გამსვლელი სხდომა რომ არ გამართულიყო, ამ სამშენებლო ორგანიზაციის მუშაკებისათვის ასე თვალხილულად არ წარმოდგებოდა ის დანაშაულობანი, რამაც ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

სასამართლოების გამსვლელი სხდომებით, ფართო საზოგადოების, შრომითი კოლექტივების თანდასწრებით მოწყობილი პროცესების ჩამართვით უაღრესად სასარგებლო და საჭირო საქმე კეთდება. ყველა უსაქმურმა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევმა, ქურდბაცაცამ და სპეკულანტმა, გამფლანგველმა და მექრთამემ უნდა იგრძნოს ხალხისგან გმობა და გაკიცხვა, მშრომელი ადამიანებისა და ნაცნობ-მეგობრების ზიზღი და რისხვა.

გ. ჩიქვინიძე.

## ჭადრაკი

### ერთი საგზური — პორტიშს

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ქალაქ პორტოროჟში დამთავრდა სამთა მატჩ-ტურნირის მესამე წრე. გროსმაისტერების პორტიშისა და პოლუგაევსკის მესამე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა, ხოლო მათ შორის გადადებულ პარტიაში უნგრელმა მოჭადრაკემ გამარჯვებამდე მიიყვანა თავისი უპირატესობა. ყაიმი აღინიშნა აგრეთვე პორტიშ-ჰიუბნერის შეხვედრაში.

ამრიგად, პორტიშმა ექვსი შესაძლებლიდან 4,5 ქულა დააგროვა და უკანასკნელი წრის შედეგების მიუხედავად გაიმარჯვა პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება.

### ჩიგორინის მემორიალზე

ᲡᲝᲭᲘ. საერთაშორისო ტურნირს ახალი ლიდერი ჰყავს — მსოფლიოს ექსჩემპიონი ბორის სპასკი. გუშინ, გადადებული პარტიების დამთავრების დღეს, მან ორი ქულა მოიპოვა — მოუგო ხოლმოვსა და ტიმანს. ახლა სპასკის 11 ტურის შემდეგ 8 ქულა აქვს.

ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება ტალი; ანდერსონს, კროგიუსსა და სუეტინს 6,5-6,5 ქულა აქვთ.

გუშინ ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ.

### წილისყრა მოსკოვში

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ მსოფლიოს ჩემპიონთან მატჩის პრეტენდენტებს შორის წილისყრა გაიმართება 23 სექტემბერს მოსკოვში, აცნობეს საქდესის კორესპონდენტს საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაციაში. ასეთია ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის მ. ეივეს გადაწყვეტილება.

პროცედურა შედგება რამდენიმე ეტაპისაგან. ჯერ წილისყრა მოეწყობა ლენინგრადის საზონათაშორისო ტურნირის გამარჯვებულებს ვ. კორჩნოისა და ა. კარპოვს შორის. შემდეგ განისაზღვრება მეოთხედფინალისტთა წყვილები. მეოთხედფინალური მატჩების მოწყობის ადგილსა და ვადებს განსაზღვრავს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი არაუგვიანეს 30 სექტემბრისა.

## ჩოგბურთი

### „რაზდანის" კორტებზე

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ. (საქდესის კორ.). სომხეთის დედაქალაქში დაიწყო ჩოგბურთში სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი. ასპარეზობა მიმდინარეობს „რაზდანის" სტადიონის ჩოგბურთის მოედნებზე, რომლებიც სპეციალურად ააგეს ამ ტურნირის დაწყების წინ.

შეჯიბრებაში მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის 142 სპორტსმენი.

შეჯიბრების პირველ დღეს მეტრეველმა ადვილად მოუგო ალმაათელ ალექსი როდს — 6:3, 6:2, 6:3.

# ხუთი მატჩი

## ფეხბურთი

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის 24-ე ტურის კიდევ ხუთი შეხვედრა.

ერევანში „არარატმა" ანგარიშით 3:1 დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი", ხოლო მოსკოვში ცსკა-მ მოუგო ლვოვის „კარპატს" მინიმალური ანგარიშით 1:0.

სამი მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ: „ზენიტი"-„დნეპრი" — 0:0, როსტოვის სკა-„პახტაკორი" — 1:1, „შახტიორი"-„კაირატი" — 0:0. გამარჯვებულები გამოავლინა 11-მეტრიანმა საჯარიმო დარტყმებმა: „დნეპრი" (12:11), „პახტაკორი" (5:4) და „კაირატი" (5:3).

## გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 18 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | მ-11. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არარატი" (ერევანი) | 24 | 14 | 2 | 8 | 44—22 | 30 |
| „დინამო" (კიევი) | 24 | 13 | 3 | 8 | 39—19 | 29 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 24 | 11 | 3 | 10 | 24—21 | 25 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 24 | 8 | 8 | 8 | 29—29 | 24 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 24 | 11 | 1 | 12 | 29—18 | 23 |
| „დინამო" (თბილისი) | 24 | 9 | 5 | 10 | 30—23 | 23 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 23 | 9 | 5 | 9 | 31—25 | 23 |
| ცსკა | 24 | 9 | 5 | 10 | 28—29 | 23 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 24 | 8 | 6 | 10 | 23—33 | 22 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 23 | 9 | 3 | 11 | 28—27 | 21 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 24 | 7 | 3 | 14 | 27—23 | 17 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 24 | 8 | 0 | 16 | 24—28 | 16 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 24 | 6 | 2 | 16 | 29—37 | 14 |
| „დინამო" (მინსკი) | 24 | 5 | 3 | 16 | 17—30 | 13 |
| სკა (როსტოვი) | 24 | 3 | 5 | 16 | 16—31 | 11 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 24 | 4 | 3 | 17 | 22—45 | 11 |

## რეგბი

### „ლოკომოტივის" გამარჯვება

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ თბილისში „სინათლის" სტადიონზე გაიმართა საკავშირო პირველობის მატჩი თბილისის „ლოკომოტივსა" და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს შორის, პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 4:4. შესვენების შემდეგ უპირატესობა თბილისელთა მხარეზე იყო. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 8:4.

მოსკოვის „ავტომობილისტი" დამარცხდა ლენინგრადის „ბურევესტნიკთან" — 12:16 (9:9), ხოლო კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდმა მოუგო ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის რეგბისტებს — 13:6 (13:0).

ჩემპიონატს ლიდერობენ მოსკოვის „ფილი" — 18 ქულა და გაგარინელები — 16 ქულა, კიეველებმა მოაგროვეს 11 ქულა.




### მდიდარი ნადავლით

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ დამთავრდა მეგობრული არმიების III საზაფხულო სპარტაკიადა. საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს 67 ოქროს, 38 ვერცხლის და 15 ბრინჯაოს მედალი.

ამ შეჯიბრებაში მაყურებლებმა დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ იხილეს ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლეონიდ ჟაბოტინსკი, რომელმაც ოპერაცია გადაიტანა. 35 წლის ათლეტმა ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ატაცში — 180,5 კგ. ეს შედეგი ნახევარი კილოგრამით აღემატება ვ. ალექსეევის მიღწევას.

# რამდენიმე სტრიქონით

● ᲫᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ. ჰავანაში დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც 40 ქვეყნის 329 ათლეტი მონაწილეობს. პირველმა ოქროს მედალი მოიპოვა ირანელმა მოჰამედ ნასირიმ. ამასთან მან მსოფლიოს ორი რეკორდიც დაამყარა: ორჭიდში — 240 კილოგრამი და აკვრაში 140 კილოგრამი. ვერცხლის მედალი გადაეცა უნგრელ ლაიოშ სიუჩს — 230 კგ. ბრინჯაოსი — პოლონელ ზიგმუნდ სმალცეჟს — 227,5 კგ.

მჩატე წონაში მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა 26 წლის ბულგარელმა ათანას კიროვმა — 257,5 (ეს შედეგიც მსოფლიოს ახალი რეკორდია).

● ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ. ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე დამთავრდა ფინეთის, გდრ-ისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებთა მატჩი. ჩვენმა მძლეოსნებმა მოუგეს მასპინძლებს ანგარიშით 221:187, ხოლო გდრ-ის გუნდს — 210:199. სამმაგ ხტომაში თბილისელმა ვიქტორ სანეევმა აჩვენა 17 მეტრი და 03 სანტიმეტრი.

● ᲡᲞᲘᲓᲕᲔᲘ. სსრ კავშირის ნაკრები მესამე ადგილზე გამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე ლონდონში. პირველობა მოიპოვეს მასპინძლებმა, მეორე ადგილზე არიან შვედები. შეჯიბრებას, რომელიც „უემბლის" სტადიონზე გაიმართა, 30.000 მაყურებელი ესწრებოდა.

● ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. ბაქოელი ევგენია ბირიუკოვა ამერიკის ქალაქ შარლოტის (სამხრეთ კაროლინის შტატი) დიდი საერთაშორისო ტურნირის ფინალში გავიდა, სადაც დამარცხდა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელთან, ავსტრალიელ ივონ გულაგონგთან — 2:6, 0:6. ნახევარფინალში ბაქოელმა მოუგო მოსკოვის უნივერსიადის ვერცხლის პრიზიორს, იაპონელ კაძუკა სავამაცუს — 6:4, 6:4.

● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. პარაგვაის დედაქალაქ ასუნსონში ქვეყნის ნაკრებმა ფრედ — 1:1 დაამთავრა არგენტინის გუნდთან მსოფლიოს ჩემპიონატის სამხრეთ-ამერიკული ჯგუფის შესარჩევი მატჩი. ახლა მეტოქეებს ორი შეხვედრის შემდეგ სამ-სამი ქულა აქვთ. ამავე ჯგუფში გამოდის ბოლივიის ნაკრებიც, რომელმაც ორივე შეხვედრა წააგო.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 74).
19 სექტემბერს
ფეხბურთი
უეფას თასის გათამაშება
„დინამო" (თბილისი) — „სლავია" (სოფია)
დასაწყისი 18 ს. და 30 წ.
ბილეთების წინასწარი გაყიდვა ორგანიზაციებში — 18 სექტემბერს, აბონემენტებზე — 18 სექტემბრის 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში. საერთო გაყიდვა — 19 სექტემბერს დილის 10 საათიდან.

## ტელევიზია

### 18 სექტემბერი

#### პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინონარკვევი, 11.00 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (მეშვიდეკლასელთათვის. სითბოს გადაცემა), 11.25 — მხატვრული ფილმი „ყმა მსახიობი ქალი", 13.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 16.30 — ლექციები უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად: ქართულ ენაში, 17.16 — ბიოლოგიაში, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — მოსწავლეთათვის „კარგი საჩუქარი"; 18.25 — „ეს ყველამ უნდა იცოდეს", 18.35 — „შეხვედრა მხრებს შლის", 19.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.30 — დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ი. ნასიმის დაბადების 600 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს ტრანსლაცია საბჭოთა კავშირის დიდი აკადემიური თეატრიდან, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „დიდოსტატის მარჯვენა" (მეორე სერია), 23.45 — „სპორტული კვირეული".

#### მეორე პროგრამით

17.15 — ენის შემსწავლელთათვის. რუსული ენა, 17.45 — კინონარკვევი, 17.55 — ენის შემსწავლელთათვის, ინგლისური ენა, 18.25 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად: თეორიულ მექანიკაში. 19.25 — მექანიზმებისა და მანქანების თეორიაში, 20.25 — განცხადებები. 20.30 — კონცერტი, 21.15 — მხატვრული ფილმი „მშობლიური სისხლი".

ნუ ჰკლავთ, ნუ ჰკოდავთ

## რადიო

### 19 სექტემბერი

#### პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები. 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30 — საბალეტო მუსიკის კონცერტი, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ფრაგმენტები ქართული ოპერეტებიდან, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან). 11.05 — ყ. ყარაევი. მესამე სიმფონია, 11.45 — „მწერალი მიკროფონთან", 12.10 — ახალგაზრდობისათვის. რადიონარკვევი „ახალგაზრდა რაციონალიზატორები", 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — ო. თაქთაქიშვილი. საფორტეპიანო ციკლი „მშობლიური სურათები", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა". 18.10 — ე. ჯაბადარი. „ქართული რაფსოდია", 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — არიები ქართული ოპერებიდან ბ. კრავეიშვილის შესრულებით, 19.00 — საუბარი „განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, განვამტკიცოთ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა", 19.20 — ნ. გაბუნია. საორკესტრო პიესა „პოემა — ელეგია", 19.30 — ფეხბურთი უეფა-ს თასზე: „დინამო" (თბილისი)-„სლავია" (სოფია) შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონიდან, 20.15 — ოსური სიმღერები, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი" — ტრანსლაცია ბაქოდან. 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — ი. შაპორინი. კამერული ნაწარმოებები, 22.00 — საუბარი „გალაკტიონ ტაბიძე" (გადმოცემა მესამე), 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 23.55 უკანასკნელი ცნობები.

## თეატრები

### 18 სექტემბერი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ურიელ აკოსტა; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — შვიდნი ძმანი გურჯანელნი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-98-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-98, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები